# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 10 ნოემბერი, 2010 წელი.

№209 (6575)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## რევოლუციურს, ჯერ არ ნახულს, ჯერ არ გაგონილს... ②






## ოქროს საწმისიდან „ოქროს კვერცხის-მდებელ ქათამამდე“ ⑥

## რისთვის გვჭირდება განათლება ② „თეთრ ზანგებს“?

„პედაგოგიკა ის არის, გავზარდო ბავშვი გაიყვანო და აქვეონ მზე“

## ჩასაფრებული და ნაღდი კონკურენტი აფთიაქები, ⑤

ანუ როგორია კონკურენცია ქართულად



## ლომაიამ – მოკლა,



სოროსის ხელისბიჭები ქართულ ენას და ქართულ მწერლობას ფეხებსაც ვერ მოსჭამენ. თომას მანი წერდა, გერმანია რომ დაიღუპოს, ჩემში გააგრძელებს არსებობასო. ღმერთმა ნუ ქნას და საქართველო რომ დაიღუპოს, რისთვისაც მოწადინებული არიან სოროსის შვილობილები, იგი შოთა რუსთაველში, ილია ჭავჭავაძეში, ანა კალანდაძესა და ოთარ ჭილაძეში გააგრძელებს სიცოცხლეს. ③



## შაშკინი – მარხავს!

## 7 ნოემბერი, 6-ლარიანი წინიბურა, საქართველოს სსრკ-ის წინააღმდეგ და ა.შ. ⑥



## საქართველოს შავი ბაზარი ატომური ⑨ ბომბის მასალებით მდიდრდება

◎ დაკარგული ოცნებები

# რევოლუციურს, ჯერ არ ნახულს, ჯერ არ გაგონილს...




**დადგა ნოემბერი და როგორც გვპირდებოდნენ, იმ აქციების დრო მოვიდა.**

**იმ აქციების, რომლებმაც დღევანდელი ხელისუფლება სულ ცოტა ხანში „ისტორიის სანაგვეზე“ რომ უნდა გადაისროლოს.**

დადგა ნოემბერი და, სხვათა შორის, საკმაოდ კარგი ამინდებიც დაიჭირა.

ყოველ შემთხვევაში იმ დღეებში მაინც, როცა ოპოზიციის მიერ გრანდიოზული მიტინგები, უმრისხანესი საპროტესტო ტალღები და სააკაშვილის გაქცევის დრო იყო დაგეგმილი.

არ დაგიმალავთ და, როცა მზიანი ამინდი გამოვიდა, ვიფიქრე, ყოჩაღ ჩვენს ოპოზიციას, რა ჭუმანურები არიან, საფრენი ამინდი შეურჩიეს ხელისუფლებასო. ვიფიქრე და იმ აქციაზე წავედი, რომელიც შვიდ ნოემბერს, შვიდ საათზე იყო დანიშნული.

რაღა დაგიმალოთ, და როცა ავტობუსში ამოსული ყვითელმაისურიანი კონტროლიორი დავინახე, გულში გამკრა: ეტყობა ამან ჯერ არ იცის, რომ დღეს მისი „ბოგინი“ დამთავრდამეთქი, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის ჩემს წინ მდგომ, პლასტმასის ბოთლებით სავსე ჩანთებიან ქალბატონს ამოვეფარე.



გამიმართლა. არ დამაჯარიმეს.

1917 წლის 7 ნოემბრისგან განსხვავებით, ხელისუფლება არ გადადგა.

თურმე ყვარელში ყოფილა წასული ორი დღით.

არადა, სიმართლე რომ გითხრათ, მე იმ ხალხის მიერ დაწყებული უუუუდიდესი საპროტესტო აქციების აღწერა მინდოდა, რომლებიც თავიანთ თავს, ასე ვთქვათ, ოპოზიციას, პარალელურად ქართველი ერის წარმმართველ ძალას უწოდებენ და ამ დღეებში საქართველოში ხელისუფლების შეცვლას აპირებენ.

ჰო, სანამ აქციაზე წავიდოდი, ის ფილმი ვნახე, ფრანკო ნერო რომ თამაშობს „ათი დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო“. მერე ტროცკის მოგონებები წავიკითხე. მოკლედ, რომ ვთქვა, სერიოზულად მოვემზადე.

მაგარი სასაცილოა, არა?

კარგით, სიცილს თავი დავანებოთ და იმ ბრძოლის პერიპეტიები აღვწეროთ, რომელიც ქართულმა ოპოზიციონერებმა ოთხ ნოემბერს დაიწყეს, შვიდში გააგრძელეს და როგორც გვპირდებიან, თავიანთი ძალისხმევით ამ ხელისუფლებას, ახალ წელს სულ ცოტა გლდანის № 8 იზოლატორში შეახვედრებენ.

მაშ ასე, ვიწყებ მათი დაქადნების აღწერას:

არა, ეს გამოტოვებული ადგილი არც კორექტურაა, არც პასუხისმგებელი მდივნის შეცდომა და არც კომპიუტერის „იალლიში“.

ეს იმ „აქციების“ სრული სტენოგრამაა, რაც ოპოზიციამ ქართველი ხალხის დღევანდელი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ჩაატარა.

უსინდისო ვიყო, თუ რამეს ვიტყუებოდე!

ზუსტად აღვწერე ამ ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ყველა ქმედება. ჰო, შეიძლება ერთი-ორი „ხაზი“ გამომრჩა, მაგრამ ყველაფერს ხომ ვერ დაიმახსოვრებ.

იმ ორი ხაზისთვის დიდ ბოდიშს ვიხდი!

არადა რა „მრავლისმომცველი“ იყო მათი ქმედება!

მე რომ ამ ხელისუფლების ადგილზე ვყოფილიყავი, ოთხ ნოემბერს თუ არა, შვიდში უეჭველად გავიქცეოდი.

ისევ სათაურს დავუბრუნდეთ.

ოპოზიციისთვის სულერთია, თებერვალია, მაისი, თუ ნოემბერი. მათთვის მუდამ „წყალი დგას“ და წყალიც შეყენებული აქვთ კარგა ხანია.

არადა საინტერესო ის არის, რომ თვითონ არ უნდათ ამის დაჯერება.

„მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“ (წაკითხული თუ გაქვთ? — ოპოზიციას მივმართავ. თუ წაკითხული არ გაქვთ, ფილმი ხომ გაქვთ ბავშვობაში ნანახი? ისე, რომ იცოდეთ, ეს ნოდარ დუმბაძემ დაწერაძ, არის ერთი კარგი სცენა. ილარიონი, მისი შვილი და ზურიკო შრომობენ. შრომის პარალელურად, ილარიონი და ზურიკო ილიკოს წინააღმდეგ, ერთ „მაღვალაკობას“ „გეგმავენ“. ილარიონის შვილი ზურიკოს ეუბნება, ბიჭო, დაანებე ამ მოხუცებს თავიო.

„რა მინდა გთხოვოთ“:

არა, „შუაქალაქელი“ დათო არ ვარ და ამიტომ პირდაპირ გეტყვით, დაანებეთ იმ მოხუც ხალხს თავი.

დაანებეთ თავი იმ ხალხს, ვინც ამ თქვენს ე.წ. მიტინგებზე, ვინც ამ თქვენს ე.წ აქციებზე დადის.

დაანებეთ ამ ჩემს სამშობლოს თავი.

ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ამ თქვენი „კონსულტაციებით“, ამ თქვენი ახალ-ახალი „პოლიტიკური ცენტრების შექმნით“, ამ თქვენი „საყოველთაოდ მიღებული და აღიარებული ბრძოლის მეთოდებით“, კიდევ უფრო დიდ ჩიხში შეგყავთ ქვეყანა?

ან იქნებ ხვდებით?

იქნებ ხვდებით, იცით და სპეციალურად აკეთებთ?

აბა გამოტყდით, რომელია?

თუ ვერ ხვდებით, ე.ი. პოლიტიკოსები არ ყოფილხართ. თუ ხვდებით და მაინც აკეთებთ, მაშინ რას ვერჩით იმ ვილაც ე.წ. „ჯაშუშებს“, რომლებიც, თურმე იმით გადაიბირეს, რომ „კურიერს“ თარგმნიდნენ ქართულიდან, რუსულად.

არადა რა მაგარი აქცია იყო შვიდ ნოემბერს!!!!!

თავი კინაღამ „ფეშენ ვიკზე“ მეგონა.

არადა რამდენი ხალხი იყოოოოოოოოოოოო!!!!!!!!

მოვიდნენ ოპოზიციური პარტიების „ლიდერები“, იმ ხალხთან ერთად, რომლებიც სრულიად შემთხვევით სათაო ოფისებში „ჯოკერის“ თამაშს „შემორჩნენ“. მოვიდნენ საპარლამენტო და არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ხელფასიანი სამსახურის მომლოდინე „მხარდამჭერებთან“ ერთად და...

და რუსთაველზე მოსეირნე სტუდენტები.

ის სტუდენტები, რომელთაგანაც ნაწილი „ალექსანდროვის“ ბაღისკენ მიიჩქაროდა (წყვილ-წყვილადძ და ნაწილი — მეტროსკენ (ცალ-ცალკეძ.

რაც მართალია, იყვნენ ჭაღარა, მხცოვანი, ამ ხელისუფლებისგან განწირული ადამიანებიც. ადამიანები, რომლებსაც იმის მეტი არაფერი დარჩენიათ, რომ რაიმე ცვლილებებს დაელოდონ. ცვლილებებს, რომლებიც ბაზრებში გამქრალი „გრეჩიხას“ შეძენის საშუალებას მისცემს. არადა სადაა „გრეჩიხა“? (არ მითხრათ, პარიზშიო. მე იმ წიწიბურაზე ვამბობ, რომლითაც ჩვენი პენსიონერები ირჩენენ თავსძ.

არც ერთი ახალგაზრდა.

არც ერთი, გარდა ჟურნალისტებისა და „პოლიტიკურ ლიდერებთან“ დაახლოებული, ხალხისა, რომლებსაც ნამდვილად არა აქვთ წაკითხული „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

რატომღაც ის სიტუაციაც გამახსენდა, ფილარმონიაში „სახალხო წარმომადგენლობით კრებაზე“ დაგვიანებით რომ შევედი და მხოლოდ „შემელოტებული“ და ჭაღარა თავები დავინახე.

მართალი გითხრათ, მაშინ ცოტა მეწყინა. ეგ კი არა და, ჩემს მეგობრებს ვუთხარი, ახალგაზრდებში ნიჰილიზმია მომძლავრებულიო და ამასთან დაკავშირებით სტატიას დავწერ-მეთქი.

კიდევ კარგი, არ დავწერე.

მივხვდი, რომ ახალგაზრდებმა იციან სად უნდა მივიდნენ. მათ იციან, ვის უნდა დაუჭირონ მხარი და როგორ უნდა მოიქცნენ.

ამას რომ მივხვდი, გამეხარდა.

გამეხარდა, მაგრამ აქციის დაწყების წინ, სიმღერა „საქართველო ანოსია, საქართველო ვანოსიაო“, რომ გავიგონე, გამახსენდა, რომ ოპოზიციის შეკრებაზე ვიყავი.

კიდევ ერთი ფრაზა „მომეწონა“. რატომღაც „აქციის ორგანიზატორები“, ტრიბუნის ნაცვლად სცენას ამბობდნენ (ხომ ვამბობდი „ფეშენ ვიკია“, რა!ძ.

ჰო, პრინციპში ეგრე სჯობს. ზოგმა ვიმღეროთ. ზოგმა ვიცეკვოთ. ზოგმა „ნანუკას შოუდან“ „პროფილში“ გადავირბინოთ და...

და „სოფელიც აშენდება“!

არადა წყალი ხეში, მხოლოდ თებერვალში დგება.

თურმე ოპოზიციისთვის „წყლის დასანაყად“, ნოემბერი და მთელი წელიწადი ყოფილა „გამოყოფილი“.

აბა, ოპოზიციის აქციაზე, მომავალ შეხვედრამდე.

**გია გაბრიჭიძე**

◎ შეხვედრა

# რისთვის გვჭირდება განათლება „თეთრ ზანგებს“?

## „პედაგოგიკა ის არის, ბავშვი გაიყვანო და აჩვენო მზე“

***მასწავლებლის** ლოცვა: „დაიფარე ყველა ჩემი გაკვეთილი სირთულისა და სიცარიელისაგან! მომეცი ძალა, მოვწყვიტო თვალი საკუთარი მკერდის ჭრილობას, როცა სკოლაში მივდივარ, მაქციე დედად, თვით ყველაზე მეტ დედად, რომ საკუთარ თავზე მეტად შევიყვარო და ჩემი სულის ნაწილად ვაქციო, ვინც ხორცი ჩემი არ არის, მიეც ჩემს ხელს სიმსუბუქე, როცა ვასწავლი, და სითბო, როცა ვეალერსები“ (ზოგადი უნარების ტესტები. პირველი კლასი. ასმათ ჯავახიშვილი, ეკა ფირცხალავა).*

*ეს არის ლოცვა, სიტყვათა რახარუხი, აზრობრივი აბდაუბდა თუ რა, ნამდვილად ძნელი გასარკვევია. მით უფრო ვერ წარმომიდგენია პირველკლასელი, რომელიც ამ ტექსტს აუღებს ალღოს. მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია იმ სახელმძღვანელოთა ამონარიდთაგან, რომლებშიც ასეთი შინაარსი მრავლადაა. განათლების რეფორმამ ამდაგვარი სიმახინჯეები უხვად მოგვიტანა.*

გუშინ კინოსახლში სახალხო წარმომადგენლობითი კრების საინიციატივო ჯგუფი განათლებისა და მეცნიერების სფეროს წარმომადგენლებს შეხვდა, სადაც ამ დარგში შექმნილ მდგომარეობაზე ისაუბრეს. ეროვნული კრება 25 ნოემბრის დიდი ყრილობისთვის სერიოზულად ემზადება. დღეს კრების მხარდამჭერები სამეგრელოს რეგიონს ესტუმრნენ.

თუმცა ვიდრე იქ უფრო ვრცლად შედარებით ემოციურად ილაპარაკებდნენ უცხოელ მასწავლებლებზე, განსხვავებული ორიენტაციის ახალგაზრდა კაცზე ფიჩერზე, მანამდე არც კინოს სახლში დაუკლიათ მისთვის და მისი კოლეგებისთვის მძაფრი კრიტიკა.

**ელიზბარ ჯაველიძე, „ქართული აკადემია“:** „ჩემი განათლების მინისტრობის დროს დიდი ენერგია დავხარჯეთ ეროვნული პროგრამის შესაქმნელად, მაგრამ დღეს მივიღეთ ის, რომ ქართულ სკოლაში ტრადიციული ფესვები საერთოდ ამოძირკულია. იგივე ხდება ჩვენს დედაუნივერსიტეტში, საიდანაც პროფესიონალი და ეროვნული სულისკვეთების ლექტორები გამოდევნეს. რაც შეეხება საქართველოს ეროვნულ აკადემიას, ქართული სული აქედანაც განდევნილია. დღეს აქ უნდა ყოფილიყო მერაბ ჯიბლაძე, თუმცა, ვერ გვესწრება. მას საფრანგეთის ელჩმა უთხრა, განათლება რაში გჭირდებათ, თქვენ ხომ თეთრი ზანგები ხართო. მათ ავიწყდებათ, რომ ჩვენ შეიძლება განვითარებადი ქვეყანა ვიყოთ, მაგრამ განვითარებული ერი ვართ“.

**დოდო ცერცვაძე, პედაგოგთა პროფკავშირული გაერთიანება „ერთობა“:** „განათლების სისტემაში ყველანაირი ექსპერიმენტი ტარდება, რომლებსაც რატომღაც პროგრესირებადს ვეძახით. 2004 წლიდან სკოლებში ე.წ. მენეჯერები მუშაობენ, რომელთაც პედაგოგიური კვალიფიკაცია არა აქვთ. სამინისტროს წარმომადგენლებმა, უმჯობესია, პედაგოგებს ჩააბარონ გამოცდა, იმდენად აბსურდულ რეფორმებს ატარებენ. ხელფასების მომატება ინგლისურისა და კომპიუტერის ცოდნით კი არ უნდა განისაზღვროს, არამედ სტაჟისა და დამსახურების მიხედვით. ალექსანდრე ლომაიამ 3200 სკოლა ჩაიბარა და 2100 დატოვა. გათავისუფლებული მასწავლებლების დასაკმაყოფილებლად მსოფლიო ბანკმა 2 მილიარდი დოლარი გამოყო და არ ვიცით, ეს ფული სად გაქრა“...



პედაგოგებმა ძალიან ბევრ, თითქმის ყველა აუცილებლად მოსაგვარებელ და გადასაწყვეტ თემაზე ისაუბრეს, თუმცა განათლებაში იმდენი სეგმენტია გასაკრიტიკებელი, რომ ამას გუშინდელი დღე ნამდვილად არ ეყოფოდა. განსაკუთრებით მიუღებელია პედაგოგთათვის მანდატურების ინსტიტუტის შემოღება. საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული არ არის სკოლაში ფორმიანი კაცის შესვლა, — ამბობენ მასწავლებლები. არც აუცილებელ კომპიუტერიზაციას და ინგლისურის სწავლებას უჭერენ მხარს. ყველაფერი თავის დროზე და მეთოდოლოგიურად უნდა შეისწავლონ მოსწავლეებმა, თორემ ზოგადად საგნების სწავლების წინააღმდეგი არავინაა. უბრალოდ მათ მიაჩნიათ, რომ ეს არის სასარგებლო სწავლება და ბავშვისთვის განათლების წყარო. **„ბავშვი გარე სამყაროს კი არ უნდა მოსწყვიტო და ვირტუალურ გარემოში აცხოვრო, არამედ ცნობილი გამონათქვამის არ იყოს, „დიდი პედაგოგიკა ის არის, ბავშვი გაიყვანო და აჩვენო მზე“,** — აღნიშნა ელიზბარ ჯაველიძემ.

**თეა მოსია**

◎ ინფორმაცია

### ითხოვენ საატესტატო გამოცდების შემცირებას

**გუშინ პარლამენტის შენობის წინ მოსწავლეების აქცია გაიმართა. ისინი მოითხოვდნენ 8 საატესტატო გამოცდის მოხსნას.**

**როგორც აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, საჭიროა საატესტატო გამოცდის მოხსნა დამამთავრებელ კლასებში, კონკრეტულად მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებისათვის, ვინაიდან ეს განათლების სამინისტროს მხრიდან იყო მოულოდნელი, სწრაფი და ჩამოუყალიბებელი გადაწყვეტილება.**

**მათივე განცხადებით ისინი არიან გაურკვევლობაში, რადგან თვითონ განათლების სამინისტროც ჩამოუყალიბებელია ამ საკითხის მიმართ. გამოცდების მომზადებისთვის და ჩაბარებისთვის უფროსკლასელებს ძალიან ცოტა დრო აქვთ. ამის შესახებ უფრო ადრე უნდა სცოდნოდათ.**

**გარდა ამისა, აქციის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ისინი არ უარყოფენ სწავლას, მაგრამ განათლების სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დამამთავრებელი კლასების მიმართ უსამართლოა.**

ჯი-ეიჩ-ენი

ჟირი დანახული ჯოზს

# ლომაიამ – მოკლა, შაშკინი – მარხავს!

**— ბატონო შოთა, დაწყებული საბჭოთა რეჟიმით, დღევანდელი ავტორიტარული რეჟიმის ჩათვლით, ჩვენი ყველა ხელისუფლების რადიკალური კრიტიკოსი იყავით. ასლან აბაშიძის რეჟიმის დროს თქვენ ძალიან მაღალი თანამდებობა გეჭირათ. რატომ თქვით უარი იმაზე, რაშიც ბევრი მისი მოპოვებისათვის დიდ გასამრჯელოს იხდის?**

— თქვენ ერთდროულად რამდენიმე კითხვა დასვით. დავიწყებ ბოლოდან: ა. აბაშიძის რეჟიმის დროს თანამდებობა მართლაც ჩემი განცხადებით დავტოვე. ა. აბაშიძემ და მისმა გარემოცვამ ჩემში კონკურენტი დაინახა. საბაზი აჭარის კონსტიტუციის პროექტი გახდა, რომელიც ერთ-ერთ თათბირზე მწვავედ გავაკრიტიკე. გარდა ამისა, ჩემთვის მიუღებელი და აუტანელი იყო კლანური მმართველობა. სიმართლის გულისათვის ვიტყვი, რომ აბაშიძეს სამშობლოს ღალატი და გაყიდვა გულშიც არ გავლებია, რასაც ურცხვად აბრალებდნენ მისი ოპონენტები. თქვენ მართალი ბრძანდებით, მაშინაც და ახლაც ბევრი თანამდებობაში გასამრჯელოს იხდის. შემდეგ ცდილობენ ათმაგად და ასმაგად ამოიღონ. სააკაშვილის გარემოცვა ფანტასტიკურად გამდიდრდა. მე თანამდებობიდან ისევ ისე ღარიბი წავედი, როგორც მივედი. გეხსომებათ ნიკო ნიკოლაძის გამონათქვამი დიმიტრი ყიფიანზე – დიმიტრი ისეთივე ღარიბი წავიდა თბილისის თავის თანამდებობიდან, როგორც მივიდაო. რაც შეეხება ჩემს რადიკალობას ყველა რეჟიმის დროს, ეს ბუნებრივია, რადგან მე მწერალი ვარ და სხვანაირად ცხოვრება არ შემიძლია. მიკვირს ზოგი ჩემი კოლეგის უპრინციპო პოზიცია. მწერალი ხელისუფლების წისქვილზე რომ მიუშვებს წყალს, მისი მწერლობა საეჭვოა. მეტსაც გეტყვით, ბათუმელ მწერლებს, სამი-ოთხი კაცის გარდა, არ შეუწუხებიათ თავი ილია ჭავჭავაძის ძეგლის დემონტაჟის გამო. ზოგი ფარულად მხარსაც კი უჭერდა.

**— მაინც რა მოტივით აბრალებდნენ აბაშიძეს სამშობლოს ღალატს?**

— ხან რას თხზავდნენ და ხან რას! ხან სეპარატისტს ეძახდნენ, ხან ფაშას, აჭარა გამოჰყავს საქართველოს შემადგენლობიდანო, აფხაზ სეპარატისტებს უჭერს მხარსო და ა.შ. როგორც ამბობენ, ენას ძვალი არ აქვს. ასლანის დროს აჭარაში ჰყაოდა კორუფცია, მაგრამ ვიმეორებ, სამშობლოს ღალატი ოპონენტების ფანტაზია იყო. თქვენც გეხსომებათ, ომის დროს, 1993 წელს, სოხუმში თურქეთიდან გემებით შედიოდა ჩვენი „პარტნიორი" ქვეყნიდან (აშშ) იარაღი და დიდძალი ვალუტა, რითაც არძინბა ქირაობდა რუს ოფიცრებს, კაზაკ და ჩრ. კავკასიელ ბოევიკებს. ამასაც აბაშიძეს აბრალებდნენ. სიმართლე თუ გინდათ, ამერიკელთა ინტერესებში შედიოდა სამხრეთი კავკასია მოეწყვიტათ რუსეთის რკინიგზისათვის. ყოველივე ამის შესახებ ძალიან ბევრი თქმულა და დაწერილა.

**— და მიუხედავად ამისა, ჩვენს ხელისუფლებას მზე ამერიკიდან ამოჰყავს. შევარდნაძის დროს იგი ჩრდილოეთიდან ამოდიოდა. თქვენი ფიქრით, რომელია ჩვენთვის პანაცეა, ამერიკა თუ რუსეთი თუ ნეიტრალიტეტი?**



**ჩვენს სპეციალურ კორესპონდენტს გურამ წიკლაურს ესაუბრება „ქართული აკადემიის" აჭარის წარმომადგენლობის კოორდინატორი, თვალსაჩინო ქართველი მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი შოთა ზოიძე:**

— ნეიტრალიტეტი ოქროს შუალედია, მაგრამ ამას ჩვენ არავინ გვეკითხება. ადრეც მითქვამს და დამიწერია, სააკაშვილის ხელისუფლება არც ნატოშია შემსვლელი და არც დაკარგული ტერიტორიების დამბრუნებელი. დიდია რისკ- ფაქტორი იმისა, რომ დაკარგულ ტერიტორიებს აჭარაც მიუმატოს. მე ამით ვაფრთხილებ ქართველ საზოგადოებრიობას. თურქი პოლიტიკოსები ღიად ლაპარაკობენ, აჭარა ძალიან იაფად ვიყიდეთო. სიმართლე თუ გინდათ, საქართველოსთვის უკვე აფხაზეთივით დაკარგულია ტაბახმელა (იგი არაბი შეიხის საკუთრებაა) და ბათუმის პორტი, რომლის შემოსავლებით უცხოელები მდიდრდებიან, ბათუმელები კი ვშიმშილობთ. ამერიკას საქართველო პლაცდარმად სჭირდება, ხოლო ქართველი ჯარისკაცები – საზარბაზნე ხორცად ერაყსა და ავღანეთში. ხვალ კიდევ სხვაგან წამოიწყებს ლოკალურ ომს და ა.შ. კაცმა რომ თქვას, ამერიკა რუსეთის პარტნიორი უფროა, ვიდრე ჩვენი. გახსოვთ, რეიკიავიკში, როცა გორბაჩოვმა რეიგანს ჩააბარა თავისი სახელმწიფოს გასაღები (ეს იყო სამშობლოს ღალატი), რეიგანმა მას კავკასია გავლენის ზონად აღუთქვა. საქართველოს დამაწყევარი ქნა ამერიკელების იმედად. ეს ჩემი პირადი აზრია. ამერიკელებს არ აქვთ საკუთარი სამშობლო, არა აქვთ საკუთარი მიწა, არა აქვთ საკუთარი ენა და კულტურა. რაც მთავარია, არა აქვთ რელიგია და არ სწამთ ღმერთი. თბილისში მინახავს უზარმაზარი ტრანსპარანტი **„ჩავწვდეთ ამერიკის სულს!"** ამერიკის სული ვის გაუგია?! რას ჩასწვდები, რაც არ აქვს. მათი რადიოს ცნობით, ბევრი ინდიელი ახლაც რეზერვაციაში ჰყავთ. მათ დიდი დანაშაული ჩაიდინეს კაცობრიობის წინაშე, ხიროსიმასა და ნაგასაკის ბირთვულ დაბომბვას ღმერთი არ აპატიებს. კარგად მოგეხსენებათ, რომ ერაყი ძველი ბაბილონი და კაცობრიობის აკვანია. ამერიკულმა ავიაგამანადგურებლებმა, ბუშის ავანტიურისტული მიზნების დასაკმაყოფილებლად იავარქმნეს საკაცობრიო მნიშვნელობის ბაბილონური კულტურის ძეგლები. რაც შეეხება რუსეთს, ჩემი მხარის ტკივილიანი წარსულის გამო, თურქ „მეგობარს" რუსი „მტერი" მირჩევნია. პირადად მე ვერასოდეს აღვიქვამ თურქეთს ჩემი ქვეყნის მეგობრად, რადგან მას აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე მეტი ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული აქვს და ოკუპირებულ მიწაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველები თურქებად იწოდებიან. ეს მათი სახელმწიფო პოლიტიკაა და არც არასოდეს, სააკაშვილის ხათრითაც კი, არ შეიცვლება. კომუნისტური კგბ სულ გვაბრალებდა, აჭარლები თურქეთისაკენ იყურებიანო. ეს ბრალდება საპნის ბუშტი გამოდგა. დღეს ჩვენი ხელისუფლება ტელესკოპებით იყურება თურქეთისაკენ, არამც თუ თვალებით. რაც შეეხება რუსეთს, ხელისუფლებამ, აგვისტოს ოკუპაციიდან ერთი თვეც არ იყო გასული და, ენგურჰესი ჩააბარა. ამ დროს, ჩინოვნიკები და ქართული ტელეარხები, იმის გამო, რომ დიპლომატიური მისიით პუტინს შეხვდნენ, ბურჯანაძესა და ნოღაიდელს მოღალატეებს ეძახიან. ჩემი აზრით, მოღალატე ის არის, ვინც ჩვენი სტრატეგიული ობიექტები გაასხვისა რუსებზე.

**— თქვენი პასუხიდან გამომდინარე, გამოდის რომ მხარს უჭერთ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას?**

— ვუჭერ კი არა, მოვითხოვ. მიუხედავად იმისა, რომ რუსული პოლიტიკა კავკასიაში არაერთხელ კრიტიკის ქარცეცხლში გამიტარებია. რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება ჩვენი ხელისუფლების სიბრიყვე და გნებავთ სამშობლოს ღალატის ტოლფასია. შედეგი სახეზეა – დაკარგული ტერიტორიები და რამდენიმე ასეული ათასი ლტოლვილი!

**— თქვენი აზრით, ვინ დაიწყო აგვისტოს ომი და ვის ინტერესებში შედიოდა იგი?**

— ჩემი აზრით კი არა, მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ომი სააკაშვილმა დაიწყო და არა საქართველომ. თქვენ მეკითხებით, ვის ინტერესებში შედიოდა? დღესავით ნათელია, რომ ომი მის ინტერესებში შედიოდა, ვინც ჩვენი ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს ომის საშუალებით ჩამოაწერა ფანტასტიკური რაოდენობის გაფლანგული საბიუჯეტო თანხები.

**— ბატონო შოთა, 11 აგვისტოს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა თქვენი საგანგაშო წერილი ბათუმის უნივერსიტეტისა და წმინდა ბარბარეს ეკლესიის შესახებ. რა შეიცვალა მას შემდეგ?**

—სასიკეთოდ არაფერი. ნათელია, რომ ჩვენი უნივერსიტეტის შენობა შავი ზღვის უნივერსიტეტს გადაეცემა. იმ წერილის გამო მე უნივერსიტეტის მოწინააღმდეგე მიწოდეს. მაშინ, როცა უნივერსიტეტს ვიცავ ხელყოფისაგან. შეიცვალა ის, რომ ქიმიის სპეციალობის სტუდენტები უკვე გადაისროლეს თამარის დასახლებაში. ეს უკვე ავის მაუწყებელი სიგნალია. რაც შეეხება ჩვენს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, უკვე წაიღო წერილი.

იხ. 4 გვ.




ინფორმაცია

## მოქალაქეობას ძალად აიძულებენ



**უცხო ქვეყნის მოქალაქეები საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის არსებული სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას ვალდებულნი იქნებიან სახელმწიფო გადასახადი გადაიხადონ.**

**სეპარატისტული რეჟიმის მიერ დანიშნული ახალგორის რაიონის ე.წ. გამგებელი ალან ჯუსოევი აცხადებს, რომ საუბარი მიდის აღნიშნული რაიონის მცხოვრებლებზე, რომლებიც ამჟამად საზღვარს მოსაზრუნის დასახლებულ პუნქტში კვეთენ და ყველა მათგანი, რომელსაც არ ექნება სამხრეთ ოსეთის მოქალაქის პასპორტი, ვალდებული იქნება გადასახადი გადაიხადოს.**

**— საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა ამჟამად ჩვეულებრივ რეჟიმში მიმდინარეობს. პასპორტიზაციის პროცესის დასრულების შემდეგ კი უცხო ქვეყნის მოქალაქეები ვალდებული იქნებიან, კანონის შესაბამისად სახელმწიფო გადასახადი გადაიხადონ, — აცხადებს ჯუსოევი.**

**ამასთან ერთად, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტი იუწყება, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთში მყოფი რუსეთის „ეფ-ეს-ბეს" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ახალგორის რაიონის მოსახლეობა ამ დასახლებულ პუნქტში დღემდე საქართველოს პასპორტებით შედის.**

ჯი-ეიჩ-ენი

№ 209. ოთხშაბათი, 10 ნოემბერი, 2010 წელი.

ჭირი დანახული ჯობს

# ლომაიამ – მოკლა, შაშკინი – მარხავს!

(მესამე გვერდიდან)

საგულისხმო ფაქტია, რომ უნივერსიტეტი ავტონომიურია, მაგრამ საქართველოს განათლების სამინისტრო და აჭარის ხელისუფლება უხეშად ერევა მის საქმიანობაში. ახლახან განათლების მინისტრის ბატონი შაშკინის დავალებით გაუქმდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მის ბაზაზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა, ჯანდაცვისა და განათლების ფაკულტეტების დამატებით შექმნეს „განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი". რატომ ჰგონიათ განათლების „მამებს", რომ იურიდიული, ეკონომიკური, საინჟინრო, აგრარული... სპეციალობები არ არის განათლება და მეცნიერება?! სრული ნონსენსია. ახლახან აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლ. ვარშალომიძე შეხვდა უნივერსიტეტის პირველკურსელებს და „ახარა", მალე ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს აგიშენებთო. სად შოთა რუსთველის და სად ტექნოლოგიური უნივერსიტეტი? რაში ჭირდებათ ჩვენს პირველკურსელებს ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შენობა? საკითხავია, ვინ უნდა ასწავლოს ტექნიკური დისციპლინები?! მით უმეტეს, თბილისსა და ქუთაისში გვაქვს მძლავრი უნივერსიტეტები, ხოლო ათასობით ინჟინერი უმუშევარია, რადგან აღარ გვაქვს ფაბრიკა-ქარხნები და მრეწველობა. ხელისუფლება ჩინოვნიკებს ხსნის ან იჭერს, ვთქვათ, ათასი ლარის არამიზნობრივად ხარჯვისათვის, თავად კი მილიონებს ხარჯავს ბიუჯეტიდან ქუთაისში პარლამენტის მეორე შენობისა და ბათუმში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ასაშენებლად, ისე რომ ხალხს არაფერს ეკითხება. რაში სჭირდება უმუშევართა და უპენსიო, გაღატაკებულ ქვეყანას პარლამენტის ორი შენობა?! ფაქტობრივად, ხელისუფლებას აღარ ახსოვს მოსახლეობის ანაბრები რომ მისი გადასახდელია. მიზნობრივი ის უფრო იქნება, მთავრობამ დანაზოგი თანხებით ყველას თუ არა, უმწეო პენსიონერებს მაინც დაუბრუნოს ანაბრები. ვიცი ოჯახები, შუქის ფულს რომ ვერ იხდიან, ბნელში სხედან და ბავშვები გაკვეთილებს მეზობლებთან ამზადებენ. ეს ჩვენი ცხოვრების ტრაგედიაა. ამ დროს გვამადლიან შუქს გაძლევთო, მაგრამ რის ფასად? თელასის ამერიკელი მეპატრონე სქოული, რომელმაც ჩალის ფასად იყიდა ეს ობიექტი, ატერორებს და ატყავებს ქართველ ხალხს. თავად კი თვეში 36000 დოლარი ჯამაგირი დაინიშნა. ეს არის დაახლოებით 80 ქართველი პროფესორის ხელფასი და 800 შრომისუუნარო ადამიანის პენსია.

**— სერიოზული ხმები დადის, რომ თქვენს რექტორად ა. ბაკურიძე სპეციალური დავალებით გამოუშვეს, რათა უნივერსიტეტის შენობა უპრობლემოდ დათმოს? ერთი სიტყვით, ისევ აჭარლებს დაგბრალდებათ უნივერსიტეტის ნგრევა?**

— მე ვერ გეტყვით რა დავალებით გამოუშვეს, მაგრამ მახსოვს მისი სკანდალური არჩევნები. აჭარის მთავრობამ აშკარად გადააჭარბა თავის უფლებებს, როცა რექტორის მოვალეობის შემსრულებელი პროფ. ალ. ლაშხი აიძულა რექტორის არჩევნებში არ მიეღო მონაწილეობა. იყო აკადემიური საბჭოს წევრებზეც ძალადობა ხელისუფლების მხრიდან, რათა ხმა ბაკურიძისათვის მიეცათ. ჩემი აზრით, უმთავრესი მაინც ისაა, რომ თუ ხელისუფლებას უნივერსიტეტის შენობის გასხვისება გადაწყვეტილი აქვს, რექტორი წინ ვერ აღუდგება, რადგან მას თბილისში სერიოზული ბიზნესი აქვს და ტერორი არ ასცდება. თუ ხელისუფლებას დასცალდა, შენობის (განსაკუთრებით პირველ კორპუსზე უჭირავთ თვალი) გასხვისება გარდაუვალია. სად გადაანაწილებენ და რა ბედი ეწევა ჩვენს პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტობას, ძნელად სათქმელია. დარწმუნებული ვარ, თუ უნივერსიტეტი დაინგრა, ხელს ალ. ბაკურიძესა და აჭარლებს შეგვახოცავენ.

**— როგორ მიმდინარეობს აჭარაში განათლების რეფორმა?**

— ისე, როგორც სრულიად საქართველოში. ჩვენი განათლების სისტემა ლომაიამ მოკლა, ხოლო შაშკინი – მარხავს. გვინგრევენ უნივერსიტეტს. ხურავენ სამუსიკო სკოლებს, ხოლო შენობებს ყიდიან. №2 სამუსიკო სკოლაში ახლა ბანკია, აჭარის ბავშვთა რესპუბლიკურ და ბათუმის საქალაქო ბიბლიოთეკის შენობაში – კაზინო. დაანგრიეს №3 სკოლის კაპიტალური შენობა, რიგში დგას №6 სკოლა. საზღვარი აღარ აქვს სკოლებისა და პედაგოგების დატერორებას. ყოფილმა მინისტრმა ლომაიამ ბათუმის №2 სკოლის დირექტორი, ბრწყინვალე პედაგოგი ეთერ ყურშუბაძე იმისათვის მოხსნა, რომ იგი თავისი კაბინეტის ფანჯრებს თავად წმენდდა. მინისტრიც ამას ჰქვია.. რაც შეეხება პროგრამებსა და მოსწავლეთა სახელმძღვანელოებს, ისე გარყვნეს, კრიტიკასაც აღარ ექვემდებარება. მაფიოზურ ფასებზე აღარაფერს ვამბობ. ჩემი აზრით, პირველი კლასიდან ინგლისურის შემოღება დანაშაულია ერისა და მომავალი თაობის წინაშე. ბავშვი დედის რძით უნდა იკვებოს და არა ხელოვნური სუროგატით. თუ ასე გაგრძელდა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აღდგენა დაგვჭირდება უახლოეს მომავალში.

თავად პრეზიდენტმაც აღიარა, რომ რეფორმამ არ გაამართლა.

**— როგორ ართმევენ თავს თავიანთ მოვალეობას უცხოეთიდან მოწვეული პედაგოგები?**

— ყველაფერი აბანოში გამოჩნდება. გააჩნია როგორ გაივლიან აკლიმატიზაციას. პიველი „წარმატება" ზუგდიდში გამოვლინდა. გაზეთმა „ასავალ-დასავალმა" ფოტოქრონიკაში ვიზუალურად გვაჩვენა პირველი „შედეგები". ბევრ მათგანს წარმოდგენაც არა აქვს პედაგოგიკაზე. ათიათასი გაურკვეველი ორიენტაციის უცხოელი ადამიანი ამდენივე ნელი მოქმედების ნაღმია საქართველოს ასაფეთქებლად შემოგდებული. ვერავინ დაითვლის მათ შორის რამდენი ცისფერი და რამდენი ცერეუს აგენტია. ცოტ-ცოტა ქართულს რომ ისწავლიან, ეს ნათელია.

**— არაფერი გითქვამთ წმინდა ბარბარეს ეკლესიის შესახებ. რა ელოდება მას?**

— მას ელოდება ის, რაც ფერიის მთაზე მშვენიერი ეკლესიას დამართეს. იგი მკვდრეთით აღადგინა ა. აბაშიძემ. ახლა მისი დემონტაჟი იგეგმება, იმის გამო, რომ სასტუმრო „შერატონის" გვერდითაა ბათუმის ბულვარში. სამწუხაროა, რომ აჭარაში მოქმედ ტელეარხებსა და პრესას ხმა არ ამოუღიათ. ახლახან ამ „დამსახურებისათვის" აჭარის ტელევიზიას „წმინდა ანდრიას ჯვრის ორდენი" გადაეცა. აი, კიდევ ერთი ნონსენსი. აჭარის ტელეჟურნალისტებს კრინტი არ დაუძრავთ კიდევ ერთი ანტიქართული აქციის შესახებ. უცხო ქვეყანა აფინანსებს ჩვენს მხარეში მედრესეებისა და მედრესე-ინტერნატების გახსნას. ახლა აჭარაში 51 მედრესე და 9 მედრესე-ინტერნატია. სამწუხაროა, რომ თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ ჩემს საგანგაშო განცხადებას, ბატონ ელიზბარ ჯაველიძის გარდა, არავინ გამოეხმაურა. სად არიან აჭარული წარმოშობის თბილისელი მეცნიერები, რომლებიც ოთხმოცდაათიან წლებში პოპულისტური განცხადებებით გვიკლებდნენ და, მათი ჭკუით, ტალახს გვესროდნენ თბილისიდან.

**— როგორ უყურებთ ხელისუფლების მიერ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ტალღას?**

— მართლაც დააკავეს რამდენიმე ჩინოვნიკი. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა პერმანენტული უნდა იყოს და არა – სეზონური. საინტერესოა, რატომ აპატია ხელისუფლებამ ბატონ ლომაიას განათლების სამინისტროში 40 მილიონი საბიუჯეტო თანხის განიავება?! რატომ დასდეს ბრალი კონტროლის პალატის იმ კომისიას, რომელმაც გამოავლინა ეს დანაშაული? როცა ამ ფარსს ფარდა აეხდება, მაშინ დავიჯერებ, რომ ხელისუფლება მართლაც ებრძვის კორუფციას და არა – ცალკეულ პიროვნებებს. რატომ არავინ დაინტერესდა იმ ერთი მილიონი დოლარის წარმოშობით, რომელიც ბრაიზას ქორწილისათვის გადაუხადეს, ანდა ვისი განკარგულებით და ვინ გადასცა ეს თანხა ბრაიზას?!

სამართალდამცავები რატომ ვერ ხედავენ სათამაშო ბიზნესში გამეფებულ აფიორას. უნდა აიკრძალოს ლოტოტრონით ლოტოს გათამაშება?! ყუთიდან ბურთულები ბავშვებმა უნდა ამოილონ. ასე რომ იყოს, მერწმუნეთ, მეტი თუ არა, ორ-სამჯერ მაინც გათამაშდებოდა ჯეკპოტი. რატომ არავინ აქცევს ყურადღებას ამ მამაძაღლობას?! ვინ არის ჩვენში სათამაშო ბიზნესის „ჭერი?" პროკურატურამ პასუხი უნდა მოსთხოვოს საქართველოს ლატარიის კომპანიას.

**— ახლახან ერთი გაზეთი წერდა, რომ ის 5 მილიონი დოლარი, რომელიც გადაიხადა საქართველოს მთავრობამ, ვითომ ნონა გაფრინდაშვილმა გადასცა ბალტინს?**

— მე ეგ არ წამიკითხავს. როგორც ჩანს, უზნეობას საზღვარი არა აქვს. ის უფრო მიკვირს, პატარკაციშვილის მოკვლას რომ არავინ აბრალებს, ანდა – გორის დაბომბვას. ნონა გაფრინდაშვილი ქართველი ხალხის სათაყვანებელი სახელი და ჩვენი ქვეყნის ღვთის ჯილდოა. მოწესრიგებულ სახელმწიფოში ქვირფას ნონას სიცოცხლეშივე ძეგლს უნდა უდგამდნენ.

**— ჩვენი საუბარი დასასრულს უახლოვდება ისე, რომ არაფერი გვითქვამს ქართველ მწერლობაზე. როგორ აფასებთ მის დღევანდელ ვითარებას?**

— მას შემდეგ, რაც წავიდნენ წუთისოფლიდან ანა კალანდაძე, ოთარ ჭილაძე, მუხრან მაჭავარიანი, ფრიდონ ხალვაში, დაგვრჩა ძალიან დიდი სიცარიელე. საქართველომ წმინდა ადგილი მიუჩინა ყველას. ესეც კი ზოგიერთისათვის შურისა და ღვარძლის საგანი გახდა. ამაში დამარწმუნა გაზეთ „24 საათის" დამატებაში დასტამბულმა მკრეხელურმა სტატიამ ნეტარხსენებული ოთარ ჭილაძის წინააღმდეგ, რომელიც მწერლის გარდაცვალების წლისთავს დაამთხვიეს.

სოროსის ხელისბიჭები ქართულ ენას და ქართულ მწერლობას ფეხებსაც ვერ მოსჭამენ. თომას მანი წერდა, გერმანია რომ დაიღუპოს, ჩემში გააგრძელებს არსებობასო. ღმერთმა ნუ ქნას და საქართველო რომ დაიღუპოს, რისთვისაც მოწადინებული არიან სოროსის შვილობილები, იგი შოთა რუსთაველში, ილია ჭავჭავაძეში, ანა კალანდაძესა და ოთარ ჭილაძეში გააგრძელებს სიცოცხლეს.

**— და ბოლოს, როგორ აფასებთ თქვენს გავლილ გზას?**

— მთელი ჩემი ცხოვრება ეროვნული ცნობიერების სამსახურში გავატარე. ამ გზაზე არასოდეს არაფერი შემშლია, მაგრამ მაქვს უდიდესი უნებლიე ცოდვა, რაც დანაშაულის ტოლია. 2003 წელს მე მხარს ვუჭერდი ავადსახსენებელ „ვარდების რევოლუციას". ამის გამო არაერთხელ საჯაროდ მომიხდია ბოდიში ჩვენი ხალხის წინაშე. როგორ წარმოვიდგენდი, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება 2004 წელს აჭარას ისევ „ამლორძინებლებს" და აბაშიძის ერთგულ ყმებს ჩააბარებდა?! კიდევ ერთი ცოდვა მადევს: როცა აჭარის პარლამენტმა 25 იანვარს–პრეზიდენტის ინაუგურაციას დაამთხვია ა. გობრონიძის დაკრძალვა და გლოვის დღედ გამოაცხადა, მე მაშინ საპროტესტო წერილი გამოვაქვეყნე თქვენს გაზეთში. ახლა აჭარის ყველა მოწვევის პარლამენტარები განიცდიან ხელისუფლებისაგან პოლიტიკურ დევნას. უკვე 6 წელზე მეტია ვერ მივაღწიეთ სახელმწიფო კომპენსაციისა და დამსახურებული პენსიების დანიშვნას. მალე, სტრასბურგის სასამართლოში მოგვიწევს საქართველოსა და აჭარის პარლამენტების გასაჩივრება. მგონი, აქამდე საქმე არ მივა, რადგან ქართველი ხალხი აღარ დააცლის ამ ხელისუფლებას აბუჩად აგდებას.

**— ღმერთმა გისმინოთ!**

ბატონ შოთა ზოიძეს

ეკითხებოდა **გურამ წიკლაური.**

ბათუმი-თბილისი. 9/XI. 2010 წ.

ამბის კვალდაკვალ

## ფიქრების აწრიალება

**მკითხველს წინასწარ უნდა მოვუბოდიშო – ისეთ ამბავს ეხება ეს წერილი, რომ ვაითუ მკრეხელობად ან ცოდვად გამოჩნდეს; „მაგრამ ვაიმე, რომ ეჭვი მოუგზავნია ჯოჯოხეთს"; კიდევ – ეს ფიქრები მარტო მე ხომ არ ამიფუთფუთდებოდა!**

მალაიზიაში მომხდარი, თქმა არ უნდა, დიდად სამწუხარო და ღრმად შემაშფოთებელია: ორ ქართველ ქალს ბაბუცა გორგაძესა და დარეჯან კოხტაშვილს, უმძიმესი ბრალდებით დაპატიმრებულებს, ღმერთმა ნუ ქნას და, სასჯელის უმაღლესი ზომა ემუქრება...

ახლა „ის" აფუთფუთებული ფიქრები: ფულის საკეთებლად ყველაფერზე ხომ არ უნდა წახვიდე, ყველა საშუალება ხომ კარგი არ არის; ყოველ შემთხვევაში ისეთ გადაკარგულში მაინც არ უნდა წახვიდე, ეგ მალაიზია რომაა; მერე, თუ მიდიხარ, ცოტა ხომ უნდა იყო აზრზე, სად მიდიხარ, ზერელე წარმოდგენა ხომ უნდა გქონდეს იქაურ ადათ-წესებზე, იქაურ კანონებზე...

ახლა მთავრობას უნდა გადავწვდე: ცხადია, ხელისუფლება უნდა ზრუნავდეს საზღვარგარეთ მყოფ თავის მოქალაქეებზე, მაგრამ მალაიზიის „პონტში" ნამეტანი იდებს თავს და ვაითუ ამასაც პიარის სუნი ასდის; „ვაითუ" იმიტომ, რომ „საზღვარშიგნით" ამდენი ჰყავს უსამართლოდ და უკანონოდ დაპატიმრებული (თვითონ უკეთ იცის, რამდენიცძ და რატომ იმათ გამო არ წუხს, არ იფოფრება, არცრას არ აკეთებს – ისინი უფრო ადვილი მისახედნი არ არიან, ვიდრე ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქით მალაიზიაში? რაღაცა ხომ არ ხდება?..

ჩემთვის ასევე გასაკვირია ტელეაჟიოტაჟი რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშებისა თუ ჯაშუშობის გარშემო. ნეტავ რა გვაქვს „საჯაშუშო"? სტრატეგიული ობიექტები, საიდუმლო შეიარაღება, იშვიათი ტექნიკა, უთანამედროვესი სამხედრო ბაზები? რა უჯაშუშებოდ არ იცის რუსეთმა, ვინა ვართ და რანი ვართ?.. ოღონდ ეს სხვა თემაა...

ღმერთო, შენ შეეწიე ორ ქართველ ქალბატონს მალაიზიაში, ღმერთო, შენ დააფიქრე ნარკოტიკებით მოვაჭრენი...

ლუკა გორგაძე

გასწორება

## ერთი სიტყვის გამო...

**ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა ჩემი რეპორტაჟი სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" ოპოზიციური პარტიის ლიდერებთან საზოგადოების შეხვედრის შესახებ („ფორუმმა გამარჯვების ფორმულა იცის, თანაც ძალიან სწრაფი"). ერთ-ერთ აბზაცში წერია: „დავითაშვილის მშვიდმა ტონმა მწყობრიდან გამოიყვანა რეჟისორი დიმა ჯაიანი, რომელმაც დარბაზიდანვე საკმაოდ ემოციურად შეუძახა ოპოზიციას: „ასე მგონია, ახლა ლორდთა პალატაში ვსხედვართ, სად ცხოვრობთ, რომელ ქვეყანაში? დამთავრდა მოლაპარაკება, ეს გუშინდელი თამაშია. რას აპირებენ პარტიები როცა უფსკრულში მივექანებით? ან გამარჯვება, ან სიკვდილი!.. თემურ ნანეიშვილი შეეცადა დაემშვიდებინა რეჟისორი, თუმცა ემოცია არც მას აკლდა: „მშვიდად, ყოველგვარი ფაშიზმის გარეშე. სტუმრად რომ მივდივართ, დღის წესრიგს უნდა დავემორჩილოთ. გამოვიჩინოთ მეტი გონიერება, ერთხელ მაინც შევეცადოთ, მოვუსმინოთ ამ ხალხს". ბუნებრივია, სიტყვა „ფაშიზმმა" კიდევ უფრო გააღიზიანა ჯაიანი".**

**რედაქციას დაუკავშირდა თემურ ნანეიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ თავიდან ბოლომდე იზიარებს მასალის პათოსს, მაგრამ სიტყვა „ფაშიზმი" მას არ გამოუყენებია. „ეს სიტყვა საერთოდ არ მიხსენებია. იქნებ მიხსნათ ამ გაუგებრობისგან. მირეკავენ და მსაყვედურობენ, ეს რამ გათქმევინაო"... – აღნიშნა მან.**

**შეიძლება დარბაზში ამტყდარი ჩოჩქოლის, ან მიკროფონის ცუდი აკუსტიკის გამო, სწორედ ასე გავიგე ბატონი თემურის სიტყვები, რისთვისაც ბოდიშს ვუხდი. ასევე ბოდიშს ვუხდი დიმა ჯაიანს მისი ოპონენტის წარმოთქმული სიტყვების არასწორად ინტერპრეტაციის გამო.**

თეა მოსია

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესაბამისად 2010 წელს წარმოდგენილი ნაშრომებისათვის გამოჩენილ მეცნიერთა აკადემიური სახელობითი პრემიები მიენიჭათ:

1. **ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია** ავტორთა კოლექტივს: აკადემიკოსებს: **როინ მეტრეველს** (მთავარი რედაქტორი), **მარიამ ლორთქიფანიძეს,** აკადემიის წევრ-კორესპონდენტს **მზექალა შანიძეს,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებს: **გიული ალასანიას, ელენე ცაგარეიშვილს;** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებს: **გურამ კარტოზიას, მიხეილ ქავთარიას, ციალა ქურციკიძეს** (გარდაცვალების შემდეგ); **სოფიო სარჯველაძეს „ქართლის ცხოვრების“** ახალი გამოცემისათვის.

2. **ილია ვეკუას სახელობის პრემია** აკადემიის წევრ-კორესპონდენტს **ანზორ ხელაშვილს** მონოგრაფიისათვის – **„კეპლერ-კულონის პრობლების დინამიკური სიმეტრია კლასიკურ და კვანტურ მექანიკაში** (არარელატივისტური და რელატივისტური)“.

3. **ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია** აკადემიის წევრ-კორესპონდენტს **რევაზ გაჩეჩილაძეს** ნაშრომისათვის: **„ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი, პოლიტიკა“.**

4. **იოველ ქუთათელაძის სახელობის პრემია** ავტორთა კოლექტივს: აკადემიკოს **ეთერ ქემერტელიძეს,** ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატებს: **მარიამ ბენიძეს, ალექსანდრე სხირტლაძეს, თამარ მუზაშვილს** ნაშრომთა ციკლისათვის – **„ბიოლოგიურად აქტიური მცენარეული სტეროიდები და ფენოლური ნივთიერებები“.**

5. **ნიკოლოზ კეცხოველის სახელობის პრემია** ავტორთა კოლექტივს: ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებს: **რევაზ გაგნიძეს** (გარდაცვალების შემდეგ), **იოსებ ლაჩაშვილს;** ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატებს: **ხათუნა გაგუას, მალვინა დავლიანიძეს, მელანია მუყბანიანს, ჯანიკო მცხვეთაძეს, ციალა ღვინიაშვილს, ლიანა ჯინჯოლიას, მარინე ერისთავს, თამარ ჯუღელს** ნაშრომისათვის – **„საქართველოს ფლორა“. ტ.XV.**

6. **ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემია** ავტორებს: აკადემიკოს **ნოდარ ყიფშიძეს,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს **მაია სულაქველიძეს** ნაშრომისათვის – **„დისლიპიდემია და ათეროსკლეროზი – დიაგნოზის და მართვის თანამედროვე ასპექტები“.**

7. **გრიგოლ მუხაძის სახელობის პრემია** ავტორთა კოლექტივს: აკადემიკოს **ფრიდონ თოდუას,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებს: **მამუკა გურგენიძეს, ზურაბ ბერიაშვილს,** მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს **თემურ იოსელიანს,** ექიმებს: **ქეთევან ლაშხს, ქეთინო გიგაურს** 2000-2009წწ. გამოქვეყნებულ ნაშრომთა ციკლისათვის – **„ჰეპატოპანკრეატოდუოდენური ზონის დაავადებათა და პორტული ჰიპერტენზიის გართულებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სტრატეგია თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარების პირობებში“,** რომელიც მოიცავს აგრეთვე მონოგრაფიას – **„საყლაპავი მილის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ენდოსკოპიის ატლასს“.**

8. **გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის პრემია** ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს **კიტი მაჩაბელს** ნაშრომისათვის: – **„ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები“.**

9. **გიორგი მელიქიშვილის სახელობის პრემია** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს **ნანა ხაზარაძეს** ნაშრომებისათვის – **„წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ძიებანი“ და „გიორგი მელიქიშვილი – 90“.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი**
**თამაზ გამყრელიძე,**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი**
**ოთარ ნათიშვილი.**

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად გამარჯვებულად გამოვლინდნენ 2009 წლის საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები:

სსიპ – ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი
სსიპ – ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი
სსიპ – რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი
სსიპ – იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი
სსიპ – სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი
სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი
სსიპ – სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი
სსიპ – საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
სსიპ – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
სსიპ – გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი**
**თამაზ გამყრელიძე,**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი**
**ოთარ ნათიშვილი.**

---

## კონკურენცია ქართულად

# ნარინჯოვანი აფთიაქები

## რომელია ამათგან ნაღდი კონკურენტი და რომელი – ჩასაფრებული?!



**ვიდრე ჩასაფრებულის ვინაობას გავარკვევდეთ, ალბათ, უპრიანი იქნება, ორიოდე სიტყვით მისი „უდიდებულესობა“ – მონოპოლია და მონოპოლისტები გავიხსენოთ, რამეთუ ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე (და არა მარტო ამ ბაზარზე) აი უკვე რამდენი წელია, მონოპოლია ერთპიროვნულად ბატონობს. ისიც ცნობილია, რომ ფარმაცევტ მონოპოლისტთა კლანი ნათესავურ-ნათლიმამურ (შეიძლება „პარტნიორულიც“ დავარქვათ) კავშირშია სახელისუფლებო კლანთან, რაც სულაც არ უშლის ხელს, პირველებმა თავი დასახელებული ბაზრის ლიდერებად შემოგვასაღონ, ხოლო მეორეთ – მსოფლიოს უპირველეს დემოკრატებად.**

რამდენად ამართლებენ ავერსი და პსპ ფარმაცევტული ბაზრის ლიდერობას, ან ჩვენი უზურპატორი ხელისუფალნი – დემოკრატობანას თამაშს, ვფიქრობთ, ამის გარკვევა ცეცხლმოკიდებული მედიკამენტების მომხმარებლებს არ გაუჭირდებათ. აი იმის გათვითცნობიერება კი, თუ ელბაქიძის დაღმართის ბოლოს, სანაპიროს №10-ში, რატომ დაიბადა ერთდროულად ორი ტყუპი ნარინჯისფერი აფთიაქი („ფარმადეპო“ და „ფარმაცენტრი“ძ, ბევრისთვის დღესაც სამუცნობიან განტოლებად დარჩა. თუმცა ნაშიმშილევ, ჯიბეგახვრეტილ ხალხს განტოლების ამოსახსნელად სად ეცალა, დასახელებულ აფთიაქებში, სხვებისგან განსხვავებით, მედიკამენტები 25-30 პროცენტის ფასდაკლებით იყიდებოდა და სულაც არ არის გასაკვირი, რომ უსახსრო მომხმარებელი მათ მთიდან წამოსული ღვარცოფივით მიასკდა.

ხელმოკლე მომხმარებლის სახით „ფარმადეპოს“ ბიზნესის წარმატებული ზრდის შანსი რომ ექნებოდა (მოსახლეობის 80-85 პროცენტი ხომ სახსარს მოკლებულიაძ, რა თქმა უნდა, მისმა ხელმძღვანელობამ წინასწარვე იცოდა და, ბუნებრივია, სწრაფადვე დაიწყო საკუთარი სააფთიაქო ქსელის გაფართოება. **ასე გაჩნდა ნაწვიმარზე ამოყრილი სოკოებივით „ფარმადეპოს“ ყვითელ-ყვითელი აფთიაქები ვარკეთილში (წულუკიძის ქ. №11), გლდანში (სუპერმარკეტ „ბინგოს“ გვერდით), საბურთალოზე (ვაჟა-ფშაველას გამზ. №6), ვაკეში (ყიფშიძის ქ. №7), ავლაბარში („არამიანცის“ საავადმყოფოს ტერიტორია), ქუთაისში (დავით აღმაშენებლის გამზ. №24) და სად აღარ. თუმცა უმალვე დაიწყეს მათ გვერდით დაფრთიანება და გუგულივით „კვერცხის დება“ იმავე ფერისა და შინაარსის მქონე „ფარმაცენტრის“ აფთიაქებმა, რომლებიც ინიციატორ კომპანია „ფარმადეპოს“, არც მეტი, არც ნაკლები, მოქიშპე, ჩასაფრებულ კონკურენტებად მოევლინნენ.**

რატომ მოქიშპე, ჩასაფრებულ კონკურენტებად და არა კეთილისმყოფელი, ჯანსაღი კონკურენციის „ელჩებად“? სწორედ ამის თაობაზე მინდა შევაჩერო იაფი მედიკამენტების ძებნით დაქაქანებულ-აქოშინებული მომხმარებლის ყურადღება. თანაც არა ყურით მოთრეულზე, არამედ საკუთარი თვალით ნანახსა და განცდილზე დაყრდნობით გავუზიარო პირადი მოსაზრება თუ შთაბეჭდილებანი.

თავდაპირველად, მეც, ისევე როგორც უამრავი სხვა თბილისელი, სანაპიროზე გახსნილი ნარინჯისფერი აფთიაქებიდან ვიძენდი მედიკამენტებს და შედარებით იაფი „ნავაჭრით“ ფრიად კმაყოფილიც ვიყავი, თუმცა არასდროს დავფიქრებულვარ, რატომ ერქვა ერთს „ფარმადეპო“, ხოლო მის ტყუპისცალს – „ფარმაცენტრი“? ამ კითხვას პასუხი თავად „ტყუპებმავე“ გასცეს, როცა ამ ორიოდე კვირის წინათ ისინი ჩემს საცხოვრისთან ახლოს, ვაჟა-ფშაველას გამზირის დასაწყისში (№6ძ სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე.

– აი, თურმე სად ყოფილხართ განაბული, ჩემო ყურცქვიტებო, გავიფიქრე ჩემთვის სიამემოგვრილი ღიმილით და შესვლა დავაპირე, მაგრამ როგორც ჩვენს გონებაცქვიტ პრეზიდენტს უყვარს ხოლმე თქმა, ნურას უკაცრავად!

– იმაში არა, ამ აფთიაქში შებრძანდით, ბატონო! – ცქვიტად გადამიღობა გზა ტანმომცრო, პეწიანმა გოგონამ და ხელში რაღაც ფურცელი შემაჩეჩა. ის იყო ნაბიჯი გადავდგი და მეორე გოგონა მომეახლა (ისიც პიარფურცლითძ თხოვნით: ჩვენი აფთიაქი სჯობს, ბატონო, მაგათსას, მომსახურებაც უკეთესი გვაქვს და წამლებიც გაცილებით იაფი და ხარისხიანი. შებრძანდით და დარწმუნდებით.

– დავიბენი, გოგოებო, აღარ ვიცი, რომელს დაგიჯეროთ? – ვთქვი დაეჭვებულმა და ჩემდაუნებურად ერთ ოფისში განლაგებულ ორ აფთიაქს, ორივეს ყვითელსა და ორთავეს „ყველაზე იაფი აფთიაქის“ სახელით დარეკლამებულს, ალმაცერად ავხედე.

ამ „ტყუპებმა“ ნეტა რას მიაგნეს ჩემში ისეთს, რომ გალომებულები აქეთ-იქით მექაჩებიან? – გამკენწლა თავში და ძალაუნებურად გოგოების „ნაჩუქარ“ სარეკლამო ფურცლებში ჩამახედა.

**– ქართველი მონოპოლისტი „ლიდერების“ მიერ შეფუთული ჩინური და ინდური წარმოშობის მედიკამენტები, – იუწყება „ფარმადეპო“, – ძვირია და უსერტიფიკატო. მათ ნაცვლად ჩვენ გთავაზობთ იგივე მოქმედი ნივთიერების შემცველ, საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე, ევროპულ ორიგინალებს გაცილებით იაფად. აირჩიეთ ხარისხი და მისაღები ფასი, გაუფრთხილდით თქვენს ჯანმრთელობას!**

**– არ დაიჯეროთ, რომ „ფარმადეპო“ უფრო იაფად ყიდის მედიკამენტებს, ვიდრე ჩვენ, – ირწმუნება „ფარმაცენტრი“ (იქვე ჩამოთვლილია რიგი წამლებისა, რომლებიც ათეული თეთრებით და ზოგჯერ ლარებითაც იაფი ღირს კონკურენტ ფირმასთან შედარებით). დასკვნა თქვენ თვითონ გამოიტანეთ, სად სჯობს შეიძინოთ მედიკამენტები, ჩვენთან თუ „ფარმადეპოში“? ფაქტი ერთია, „ფარმაცენტრი“ ყველაზე იაფი აფთიაქია დედაქალაქში და მთელ საქართველოში!**

აი თურმე რა ყოფილა, „მე ფარმადეპო“ და „ფარმაცენტრი“ ტყუპები მეგონა, ესენი კი ერთმანეთის კონკურენტები ყოფილან(!ძ თანაც, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, სადაც ერთი გამოყოფს თავს, უმალ იქ მეორეც გამოჩნდება, ჩანს, ურთმანეთოდ არსებობა არ შეუძლიათ. და იქვე იბადება კითხვა: რატომ? ასე რამ გადააბ-გადააჯაჭვა ერთმანეთს ეს ურთიერთგანსხვავებული ფირმები, ღარიბ-ღატაკი მომხმარებლის სიყვარულმა თუ პირადმა ინტერესებმა?

ამ კითხვაზე საკუთარი აზრის მოძიება აღარ დამჭირვებია, გადმოვაბრუნე „ფარმადეპოს“ პიარბუკლეტის მეორე გვერდი და პასუხი იქვე აღმოვაჩინე: **„საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის „ლიდერი“ კომპანიები მხოლოდ „ფარმადეპოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე აწესებენ მედიკამენტებზე დროებით დაბალ ფასებს, რაც მიზნად ისახავს ბაზარზე კონტროლის შენარჩუნებას და ფასების შემდგომ ზრდას“.**

**აი სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული. „ლიდერმა“ ფარმაცევტულმა კომპანიებმა ჯანსაღი კონკურენცია კი არ უნდა გაუწიონ „ფარმადეპოს“, რომელმაც პრაქტიკულად პირველმა დასწია ფასები მედიკამენტებზე 25-30 პროცენტით, არამედ კრიჭაში უნდა ჩაუდგნენ და მალევე მოახრჩონ მისი ბიზნესი, თორემ მერე უკვე დაგვიანებული იქნება.**

დაბოლოს, ერთი კითხვა მაინც დარჩა პასუხგაუცემელი: კერძოდ, რომელი „ლიდერი“ კომპანია („ავერსი“, „პსპ“ თუ „ჯიპისი“ძ ცდილობს „ფარმადეპოს“ მოხრჩობა-გაკოტრებას? სხვაგან არ ვიცი, მაგრამ ვაჟა-ფშაველას 6 ნომერში ხალხის ინტერესების გულაჩუყებულ დამცველად და „ფარმადეპოს“ რეალურ კონკურენტად „ავერსი“ მოგვევლინა. მაგრამ ალბათ, აჯობებდა სიტყვა რეალური ბრჭყალებში ჩაგვესვა, რადგან თუ „ავერსს“ მართლა ჯანსაღი კონკურენცია და კეთილი ზრახვები ამოძრავებს, რატომ ამოეფარა „ფარმაცენტრის“ ანაფორას, რატომ მაინც და მაინც „ფარმადეპოს“ ცხვირწინ გახსნილ აფთიაქებში დასწია მედიკამენტების ფასი და არა მთელ საქართველოში მოდებულ სააფთიაქო ქსელში?

**ციც! გეყოფათ ხალხის დაბოლოება „ლიდერი“ ფარმაცევტული კომპანიების ლიდერებო! და თქვენც, მსოფლიოში უპირველესი რეფორმატორული ქვეყნის ლიდერებო, რომლებიც ამ დღეებში მთელი მსოფლიოს გასაგონად იწონებთ თავს საქართველოში ყველაზე იოლად საკეთებელი ბიზნესგარემოს შექმნისათვის. გეკითხებით, ამას ჰქვია საუკეთესო ბიზნესგარემო, რაც ქვეყნის ფარმაცევტულ ბაზარზე და საერთოდ მთელ საქართველოშია შექმნილი, ბატონო ხელისუფალნო?!.**

**ოთარ ხუციშვილი**

## ზღვაოსნობა: პრობლემა და პერსპექტივა

***მსოფლიო** ისტორიის ერთი თვალის გადავლებითაც ყურადღებას იპყრობს მეტად საგულისხმო გარემოება: ყველა მეტ-ნაკლებად წარმატებულ სახელმწიფოს, აუცილებლად ძლიერი სამხედრო ფლოტი ჰყავდა, რომელიც გზას უკვალავდა და შემდგომ იცავდა საკუთარ სავაჭრო ხომალდებს (თუმცა, იყო დრო, როცა ისინი, ფაქტობრივად, ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებოდნენ), რომლებსაც, თავის მხრივ, ქვეყანაში სიმდიდრე და დოვლათი შეჰქონდათ. ამის დასტურად მათი ჩამონათვალიც კმარა: ძველი დროის ფინიკია, კართაგენი, ეგვიპტე, საბერძნეთის სახელმწიფო-პოლისები, რომი, შუა საუკუნეების ვენეცია და ჰანზის კავშირის ქალაქები, შემდგომ ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, ესპანეთი, პორტუგალია, თურქეთი, ჰოლანდია, რომლებიც ძლიერმა ფლოტებმა უმდიდრეს კოლონიალურ სახელმწიფოებად გადააქცია... იმაზე ლაპარაკი კი, თუ რამდენ გეოგრაფიულ აღმოჩენასა და ასტრონომიულ დაკვირვებას, გემთა კონსტრუქციებისა და ნავიგაციის მეთოდების დახვეწას და მრავალ სხვა სიკეთეს უნდა უმადლოდეს კაცობრიობა ზღვაოსნებს, ნამდვილად შორს წაგვიყვანს.*

# ოქროს საწმისიდან „ოქროს კვერცხის მდებელ ქათამამდე“



ამ ზოგად ფონზე, ზღვისპირა საქართველო, სამწუხაროდ, ადრე არასდროს ყოფილა საზღვაო სახელმწიფო, არასდროს ჰყოლია არც სამხედრო, არც სავაჭრო ფლოტი. ამის მიზეზების გარკვევა, ალბათ, ვრცელი მსჯელობის საგანია, მაგრამ, მრავალი ისტორიკოსის აზრით, შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ქართველთა ტომები (ლაზების გარდა) ძირითადად, ზღვის ნაპირიდან მოშორებით, მთებში სახლობდნენ, სადაც მთავარი საკომუნიკაციო და სავაჭრო გზები გადიოდა – კოლხეთის დაბლობის ჭაობებში მალარია იყო გავრცელებული...

ასეა თუ ისე, საქართველოს ზღვისპირეთში აქტიური ზღვაოსნობა მე-20 საუკუნემდე, ქვეყნის გასაბჭოებამდე, დიდად განვითარებული არ ყოფილა. თუმცა მას შემდეგ, როცა თანდათანობით შეიქმნა ეროვნული საზღვაო სკოლა, ქართველმა ზღვაოსნებმა, მაღალი პროფესიონალიზმისა და პირადი თვისებების წყალობით, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სანაოსნო კომპანიაში მოღვაწეობით დიდი სახელი მოიხვეჭეს. ქართული საზღვაოსნოს ლეგენდებად იქცნენ შორი ნაოსნობის კაპიტნები ელიზბარ გოგიტიძე, ანატოლი კაჭარავა, თენგიზ მაქაცარია, ვახტანგ ბარათაშვილი, მრავალი სხვა. მათ გარდა იყვნენ საზღვაო საქმის სხვა გამოჩენილი ქართველი სპეციალისტებიც რაც, ალბათ, გახდა კიდეც იმის საფუძველი, რომ 1967 წელს ბათუმში, ანატოლი კაჭარავას თაოსნობით შეიქმნა საქართველოს საზღვაო სანაოსნო, რამაც თანდათანობით ხელი შეუწყო ქართველ მეზღვაურთა დინასტიების წარმოშობას. 20 წლის შემდეგ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს 1,5 მილიონ ტონაზე მეტი მთლიანი ტვირთამწეობის 50-ზე მეტი შორეული ნაოსნობის გემი ჰყავდა, რომლებზეც დაახლოებით ხუთი ათასი მეზღვაური მუშაობდა. გარდა ამისა, სანაოსნოს ინფრასტრუქტურაში კიდევ რამდენიმე ათასი სპეციალისტი იყო დასაქმებული. ამასთან, ბათუმის საზღვაო სანაოსნო სასწავლებელი დარგის სხვადასხვა პროფილის სპეციალისტს ამზადებდა, რომლებიც სათანადო გამოცდილებას ჩვენი სავაჭრო ფლოტის ტანკერებსა თუ მშრალმზიდებზე იღებდნენ.

მაგრამ ეს ყველაფერი იყო, იყო... მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, დაიწყო საზღვაოსნოს, ისევე, როგორც ეროვნული ეკონომიკის მრავალი სხვა მომგებიანი დარგის, თანდათანობით შეუგნებელი თუ შეგნებული ნგრევა. ახლა ბევრი ლაპარაკია ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების დაცვაზე, მაგრამ განა შეიძლება მათი უზრუნველყოფა სტრატეგიული ობიექტების, მაგალითად, რკინიგზის, ნავთობსადენის, გაზსადენისა და ა.შ. თუნდაც ნაწილობრივი გასხვისებით, აღარაფერი რომ ვთქვათ მათი ფაქტობრივი გაპარტახებით, როგორც ეს მავანმა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს დამართა საქმის გაკეთება? ეს ქვეყნისთვის უდიდესი მატერიალური, სოციალური და, გნებავთ, მორალური ზიანის მომტანი პროცესი, ავადმოსაგონარ 90-იან წლებში დაიწყო, როცა სანაოსნოს გემები ამერიკულ კომპანია „ისთვინდს“ მიჰყიდეს, რომელსაც ქართველი მეზღვაურების დასაქმება 12 წლის განმავლობაში უნდა უზრუნველყო, მაგრამ იგი გაკოტრდა, უამრავი ქართველი მეზღვაური უმუშევარი დარჩა, სანაოსნოს სასწავლებლის კურსანტებს კი აუცილებელი საზღვაო პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა მოესპოთ. არადა, მეზღვაურად ჩამოყალიბება ზღვაში გაუსვლელად, სათანადო პრაქტიკული ჩვევების მიუღებლად, გარემოს შეუჩვევლად ხომ შეუძლებელია! რაც შეეხება მაღალი კვალიფიკაციის საზღვაო სპეციალისტებს – კაპიტნებს, შტურმანებს, მექანიკოსებს, რომლებზეც მსოფლიო შრომის ბაზარზე დიდი მოთხოვნაა, ქართველთა უმრავლესობა აქტიური შრომითი მოღვაწეობის ასაკის ზღვარს ჯერ თუ არ გადასცილდა, ყოველ შემთხვევაში მიუახლოვდა, მათი ცვლა კი, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, არ არის, რაც ჩვენი ეკონომიკის ამ ოდესღაც „ოქროს კვერცხის მდებელ“ დარგს საბოლოოდ გაანადგურებს: საქართველოსთვის მაღალკვალიფიციური საზღვაო კადრების აღზრდაზე თუ არა ისევ ჩვენ, სხვა არავინ იზრუნებს.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემების გაყიდვის თაობაზე, მისი ინფრასტრუქტურის ფაქტობრივ მოშლასა და ამასთან დაკავშირებულ ათასგვარ სკანდალურ ამბავზე იმდენი საგაზეთო პუბლიკაცია დაისტამბა და სატელევიზიო გადაცემა მიეძღვნა, რომ იმ ძველი ამბის მოყოლას თავიდან აღარ შევუდგებით. ამასთან, აუცილებლად ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ზღვაზე ოთხი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატვირთო ნავსადგურის (ბათუმი, ყულევი, სუფსა, ფოთი) მქონე ქვეყნისთვის, საკუთარი სავაჭრო ფლოტის უქონლობა ნამდვილად სამარცხვინოა. **თავი რომ დავანებოთ უკვე დამკვიდრებული ტრადიციული პროფესიის ფაქტობრივ გაქრობას, ქართული სანაოსნოს აღდგენა, სავაჭრო ფლოტის აღორძინება, უამრავ ახალ სამუშაო ადგილს შექმნის, შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ იქცევა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საქართველოს იმიჯსა და საერთაშორისო პრესტიჟს აამაღლებს.** ამდენად, თავის დროზე სავაჭრო ფლოტის გასხვისება მთლად კრიმინალური დანაშაული თუ არა, ყოველ შემთხვევაში, დიდი შეცდომა იყო, რომელსაც აუცილებლად უნდა გამოსწორება.

ისმება კითხვა: რა არის საამისოდ საჭირო და, კერძოდ, ვინ უნდა დაიწყოს ამ მიმართულებით სათანადო მოქმედება? პირველ რიგში **ამისთვის საჭიროა პოლიტიკური ნება, ხოლო ამ ნების ფრთაშემსხმელი, ჩვენი აზრით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უნდა იყოს, რომელიც მარტო სახელმწიფო ქონების გასხვისებაზე არ უნდა იყოს ორიენტირებული. თუმცა აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ყველაფერი მაინც პრინციპულ პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული, ვინაიდან არისტოტელ ონასისისნაირი შესაძლებლობების მქონე, ალღოიანი და ამ საკითხით დაინტერესებული ქართველი ბიზნესმენი, ყოველ შემთხვევაში სადღეისოდ მაინც, არ გამოჩნდა. თუმცა ვინ იცის, იქნებ...**

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა მიზეზით ერიდებოდა კოლხეთის მოსახლეობა ნაოსნობას. ახლა ეს მიზეზი აღარ არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტობრივად, კვლავაც თავს ვარიდებთ ეროვნული ეკონომიკის ამ „ოქროს კვერცხის მდებელ ქათამს“, თუმცა კი ოქროს საწმისის ძებნაში ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა ფაზისამდე მოაღწიეს. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას ბოლო დროს ქვეყანაში ტურიზმის განვითარება აქვს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად არჩეული, ამ ტურისტების ჩამოყვანას ზღვით ისევ სხვას ვანდობთ. ამის გაკეთებას გვირჩევნია ვაშენოთ რესტორნები, ხინკლისა და მწვადის სახლები, შევქმნათ ხინკალ-ქაბაბ-მწვადის სათავადოები. რიგშია, ალბათ, საცივი-ხაშლამა-ჩაქაფულის საუფლოები... იმედის ნაპერწყალს მხოლოდ თბილისში მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ახლადაშენებული ოტელ-რესტორან „კრუიზი“ და დილმის ხიდთან მეორე „გემიც“ გვიღვივებს...

ეს, ცხადია, ხუმრობით. სერიოზულად რომ ვილაპარაკოთ, გვაქვს ასეთი წინადადება: ბათუმში ჯერჯერობით ახლაც არის დიდი ტრადიციის მქონე საზღვაო სანაოსნო სასწავლებელი, რომლის კურსდამთავრებულთა შორის არიან სწორედ ის სახელოვანი ქართველი ზღვაოსნები, რომლებიც უკვე ვახსენეთ, მრავალი სხვაც. ბოლო დროს ამ სასწავლებელს კი უწოდეს „საზღვაო აკადემია“, მაგრამ მარტო სახელის გადარქმევა საქმეს ვერ უშველის, აუცილებელია მისი სასწავლო ბაზის მნიშვნელოვანი გაძლიერება. ვფიქრობთ, **მიზანშეწონილი იქნება, დასაწყისისთვის სახელმწიფომ მისთვის ორი საშუალო ტონაჟის გემი – ერთ ტანკერი და ერთ რომელიმე სახეობის მშრალტვირთა – შეიძინოს, რომლებსაც სასწავლო-საწარმოო „ლაბორატორიებად“ გამოიყენებენ. მათი სასწავლო ეკიპაჟები უნდა დაკომპლექტდეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით – კაპიტნებით, შტურმანებით, მექანიკოსებით, რომლებიც, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ გვყავს. ამ გემებმა, კომერციულ საქმიანობასთან ერთად, უნდა შეითავსონ საზღვაო აკადემიის კურსანტთა პროფესიული მომზადების კეთილშობილური ფუნქცია. ამის შედეგად გვექნება შემოსავალი ტვირთის გადაზიდვიდანაც და მეზღვაურთა ეროვნული კადრების მომზადებიდანაც, რასაც საერთაშორისო შრომის ბაზარზე მათზე დიდი მოთხოვნილება უზრუნველყოფს. ყოველივე ეს კი საქართველოს საზღვაო-სავაჭრო ფლოტში ინვესტიციების მოზიდვას მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს.**

რევაზ ჟვანია

## კალენდრის წითელი ფერი

# 7 ნოემბერი, 6-ლარიანი წიწიბურა, საქართველო სსრკ-ის წინააღმდეგ და ა.შ.

## ანუ გულგატეხილი ქართველი კაცი!

**აფსუს, რა კარგი იყო მაშინ! თუნდაც სულ რაღაც 20, 30 წლის წინათ, როდესაც 7 ნოემბერი საცივის, ანუ ქართული პურმარილის და ცხელი რადიატორების ასოციაციას იწვევდა და სხვა არაფრის.**

ახალგაზრდებისთვის, თუნდაც იმათთვის, ვისაც სწორედ 7 ნოემბერს ილიას უნივერსიტეტში ვირტუალური სასამართლო პროექტების ციკლი დაუწყია – „საქართველო სსრკ-ს წინააღმდეგ“, განვმარტავ, რომ ჩვენი დროის 7 ნოემბერი კალენდარზე წითელი ფერის იყო და თუ ხანდახან შაბათ-კვირაც, ანუ მათ, ჩვენი შვილების „მშობლიურ“ ენაზე – ინგლისურად თუ ვიტყვით „უიქენდიც“ მიებმებოდა, ორ-სამდღიანი ქეიფი ყველა ოჯახში გარანტირებული იყო იმიტომ, რომ ჩვენი დღევანდელი პრეზიდენტის წინამორბედნი, მაშინდელი ცეკას მდივნები, მიშიკოსავით მხოლოდ საახალწლოდ და ისიც ლოიალობის პრინციპიდან გამომდინარე, შერჩევით კი არ არიგებდნენ ინდაურებს, არამედ ყველას ჰქონდა ეკონომიკური ინდაურის ყიდვის საშუალება. მინიმუმ წელიწადში 2-ჯერ, საშვიდნოემბროდ და საახალწლოდ ხომ თავისთვად.

რაც შეეხება „ცხელ რადიატორებს“, ასეთი „სასწაულიც“ არსებობდა იმ „ბნელ დროში“ – არავითარი გაზის გამათბობლები! ყველა ოჯახში იყო გარმონივით გაწელილი თუჯის რადიატორი, რომელიც სწორედ საშვიდნოემბროდ, დაბარებულივით თბებოდა და მთელი ზამთარი გვათბობდა.

იმ სამდღიან ქეიფს, თავისი „პახმელიის“ იმდენივე დღესაც თუ დავუმატებთ, გამოვა რომ მთელი საქართველო ერთი კვირა წინასაახალწლო ქეიფების მოლოდინის, მზადების, გნებავთ მოთელვის რეჟიმში ცხოვრობდა.

აი, ასეთ ასოციაციებს იწვევდა ჩვენში 7 ნოემბერი, პირველი მაისიც და ყველა სხვა წითელი ფერის დღე კომუნისტების კალენდარზე, რადგანაც თუ ვინმეს მართლა სწამდა ოდესმე კომუნიზმის დიადი იდეებისა, ასეთი მამონტები და დინოზავრები დიდი ხნის გასულები იყვნენ გაღმა, მარილზე.

ახლა თითქოს ყურში ჩამესმის ზემოთ თქმულის საწინააღმდეგო „არგუმენტები“: რა გააჭირეთ საქმე ამ თქვენი უფასო შუქით, ცხელი წყლით თუ ცენტრალური გათბობით? მარტო მაგაზე ხომ არ არის საქმე? სამაგიეროდ მაშინ საქართველო დამონებული იყო, ახლა კი თავისუფალ, დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ!

მართლა „თავისუფალ და დემოკრატიულ“ საქართველოში ვცხოვრობთ?.. მაგრამ ეგ იქით იყოს – ვინც ასე გვამუნათებს, მათ არასოდეს შესცივნიათ და მოშივებიათ, არც „მაშინ“ და მით უმეტეს, არც ახლა და სულ ფეხებზე ჰკიდიათ წიწიბურა თუ 6 და ხორცი 15 ლარი ღირს, ანუ მათთვის ყოველთვის „ბალი ათი შაურია“.

იხ. 9 გვ.

# განცხადება აუქციონის შესახებ

**2010 წლის 19 ნოემბერს 10:30 საათზე მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7, ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს „ალიონი 21“-ის (მისამართი: მცხეთა, სოფელი ძეგვი ს/ნ 204513712) კუთვნილი მოძრავი ნივთების რეალიზაცია.**

**გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი მოძრავი ნივთები:**

- მერქან-ბურბუშელოვანი ფილების დასამზადებელი მანქანა დანადგარების სისტემა;
- დახერხვის ხელსაწყოს მკვებავის ტრანსპორტი
- ნახერხის ზედა ნაწილები (თუნუქი) 3ცალი
- წისქვილის დასაწვრილებელი
- პალმანის ფირმის დასაწვრილებელი ხელსაწყო წისქვილის ამოსარები (დანე-ბი)აპარატი
- სველი ბურბუშელის საცავი ზედა დეტალები
- u64ტრანსპორტიორის ჩარჩოები
- palman-ის ციკლონი
- palman-ის ციკლონის ჩარჩო
- დამცველის რკინის დეტალები
- ბურბუშელის ერთეული raute tr 25-90 ბურბუშელის მანქანის კვების ტრანსპორტ.დეტალები
- ბურბუშეულის ერთეული კონსტრუქციის დეტალები
- ტრანსპორტიორის ჯაჭვი
- მეტალის დეტექტორი, სპირალურიკონვ.(2ცალი), წებოიანი საფქვავის ძრავი,ვარსკ.რედ.(2ცალი)
- hombak-ის ჰიდრავლიკის ერთეული
- სადენის გადამტანები,სადენები
- საცავის დამცველელი ჰიდრავლიკური ერთეული
- ბურბუშელის წარმოების დანადგარის სათადარიგო ნაწილები
- PZK 14 დამაქუცმაცებელი საფქვავის, TR 25-90 ბურბუშელის წარმოების ბრძანების და u64 განაწილების პანოები
- hombak-ის საცავის ქვედა სპირალური კონვეიერი
- hombak-palman-ის საცავის ბურბუშელას შემაერთებელი სპირალური კონვეიერი
- საცავის წვედა ჰიდრავლიკური სისტემის ჩარჩოს რკინები
- საშრობი ღუმელის კონსოლი
- სველი ბურბუშელას საცავის თუნუქი(3x6)
- საცავის ტიხრის(დამცველის)მასალები
- u64 ჰაერის ვენტილატორი
- სველი ბურბუშელის ფურცლები
- მილის სეერტების ადაპტორი
- ჰაერის ავზი
- ელევატორის დაცლის დანა
- სპირალური კონვეიერი
- pzkr 12-300დასაქუცმაცებელი საფქვავი
- u64 დასაქუცმაცებელი დანადგარის წნეხის სისტემა
- tr25-90 სპირალური კონვეიერი
- u64 შვერილის ჯაჭვი
- tr25-90 ხაზის ჩამჩიანი გადამტანის შასი
- u64 შვერელის შემხვედრი სათავე
- u64 შვერილის სტაპელი
- ციკლონის მილები
- საკვამური(ციკლონი)
- u64 დასაქუცმაცებელი დანადგარის კვების ტრანსპორტიორი
- ჰაერის ვენტილატორი
- tr 25-90 ლენტიანი კონვეიერის(ავზის ზემოთ)
- pzkr 12-300 დასაქუცმაცებელი საფქვავის სპირალური კონვეიერი
- ავზიანი გადამტანის კონსტრუქციის გადამტანი
- ძრავის დამცველები
- შუალედური ბერკეტები (ვენტილატორი)
- კიბე(ავზი)
- u რკინის კონსტრუქცია
- ერექტრორიგელი
- წყლის სისტემის კონსტრუქციის რკინა(7)
- ავზიანი გადასატანი კონსტრუქციის ნაწილები(u64)
- tr 25-90 ავზიანი გადასატ.ნაწ.
- tr 25-90 შუალედური შეერთების ფასი
- ფოლადის ბაგირი
- ჰიდრავლიკური ცილინდრის სარქველები
- tre დაქუცმაცების დანადგარი
- u64 დაქუცმაცების დანადგარი
- u64 ვენტილატორის ჩამჩიანი რგოლი
- საცრის ტიგელი
- tr25-90 ავზიანი გადამტანი დისკი
- ვენტილატორი
- ელევატორის ზედა ლენტიანი კონვეიერი
- tr25-90 ავზიანი გადამტანი დისკი
- ელევატორის მჭრელი დანები
- u64 ელევატორის ზედა ლენტიანი კონვეიერი
- u64 ელევატორის ზედა ციკლონი
- ვიბრირებადი საცრის ტექ. მერქან-ბურბუშელოვანი ფილების ლამინირების ხაზი
- ლამინირების ხაზის ნაწილები
- ბურბუშელას საშრობი სისტემა
- საშრობი ფრთა
- პრესის უკან მობრუნების ბურბუშელის ვენტილატორი
- სტატისტიკური გუმეკის ჰაერის ვენტილატორი
- ნამცეცების წვის ვენტილატორი
- პრესის უკან მობრუნების ბურბუშელის საცავის ქვედა სპირალური კონვეიერი
- საწვავის ნამცეცების ელევატორის ქვედა სპირალური კონვეიერი
- სპირალური კონვეიერი
- ელევატორის ზედა ციკლონი
- საცრის ზედა ციკლონი
- მტვრის ვენტილატორის მილი
- საშრობის შესასვლელი ჩამჩიანი რგოლი
- საცრის ზედა ჩამჩიანი რგოლი
- საშრობის ციკლონის ქვედა ჩამჩიანი რგოლი
- საშრობის ციკლონის ქვედა ჩამოსასხმელი არხი
- საშრობის დამცველის სისტ. □და მილები
- მშრალი ბურბუშელის ციკლონი
- მშრალი ბურბუშელის სპირალური კონვეიერი (92-იანი)
- მშრალი ელევატორის ციკლონის სამაგრი
- მშრალი ბურბუშელის სპირალური კონვეიერი (92-იანი)
- u.t. მშრალი ბურბუშელის ვენტილატო-რი
- ციკლონის მილები
- ციკლონისა და ვენტილატორის მილები(მოხრისა და შემწოვის,8ცალი)
- ჩამჩიანი რგოლი
- საშრობის წვის კამერა, ღუმელი და კამერა
- სანთურას კონსტრუქცია
- საშრობის ვენტილატორის ბერკეტი
- pskm 12-600დასაქუცმაცებელი საფქვავი და საშრობი რედუქტორი
- lm250 დასაქუცმაცებელი საფქვავი
- საშრობის ციკლონის ქვედა არხის ნაწილები
- საშრობის გამოსვლის არხის ნაწილები
- მბრუნავი საშრობის რგოლი
- მბრუნავი საშრობის რგოლის რეგულატორი
- ციკლონი
- ციკლონის ზედა მილი
- უკან მობრუნებული ბურბუშელის საცავის თუნუქი (1x4)
- საცავის ტიხრის (დამცველის)მასალები
- საცავის დამცველი დანები
- მშრალი ბურბუშელის ციკლონი
- გაშრობის ერთეულის კონსტრუქციის დეტალები
- კონვეიერის ლენტი
- ვენტილატორის ჩარჩოები
- პნევმატური მილები
- პატარა ვენტილატორი
- საშრობის ციკლონის ჩარჩოს სადგამები
- საშრობის ციკლონის პლატფორმის ნაწილები
- საშრობის ვენტილატორის მილები
- საფქვავის ზედა ციკლონი
- საშრობის ციკლონის ჩარჩოს დეტალები
- დამცველის ციკლონის ჩარჩოს დეტალები
- დამცველის სადგამები
- მშრალი ბურბუშელის ვენტილატორის მილები
- ბურბუშელას გაშრობის ერთეული
- საშრობი ციკლონის ჩარჩოს სადგამევი
- pr მბრუნავი საშრობის მართვის პანოები (3ცალი), დამცველი (ცალი)
- ელექტროძრავი (2ცალი) რედუქტორი (2ცალი)
- ბურბუშელას გაშრობის ერთეული კოლოფი 46 მართვის პანო, სანთურას შეერთების დეტალები, წებოს სისტემის დეტალები
- ვენტილატორის მილები
- საცავის კიბე
- მშრალი ბურბუშელის სპირალური კონვეიერი (92-იანი)
- ცხელი ჰაერის საკვამური
- საშრობი კონსტრუქციის დეტალები
- მშრალი ბურბუშელის,უკან მობრუნებული ბურბუშელის ასანთები ფხვნილის ჩარჩოს კიბე
- წვის განყოფილების გასასვლელის კონიკური დეტალები
- ცეცხლგამძლე აგური
- ცეცხლგამძლე აგური
- ცეცხლგამძლე აგური
- ცეცხლგამძლე აგური
- ცეცხლგამძლე აგური
- ცეცხლგამძლე აგური
- ვიბრ. საფქვავი
- ვენტილატორის მილი
- ციკლონის პლატფორმა
- ლენტიანი ჩართვის რულონი და ჩარჩო
- სხვადასხვა ლენტები
- ცეცხლგამძლე აგური
- საშრობი ციკლონის სპირალური განყოფილება
- ბურბუშელის საფქვავის სარქველები
- საშრობი ციკლონის ჩარჩოს დეტალები
- საფქვავის ჩარჩო
- საფქვავის ჩარჩოს პლატფორმა
- საფქვავის ზედა ციკლონის კონსტრუქციები
- საშრობის ციკლონის კონსტრ. □ელემენტები
- ციკლონის ზედა ჩარჩოს ელემენტები
- საშრობი მტვრის ვენტილატორის მილის ჩარჩო
- საშრობი უკან მობრუნების საცავის ზედა ციკლონის ჩარჩოს ელემენტები
- საშრობის ავზების დასაცლელი მილები
- კიბის ჩარჩოები
- მილის დასახური სარქველები
- საშრობის მტვრის ბაკის ზედა ციკლონის ჩარჩოს ელემენტები
- ცეცხლის სპირალური კონვეიერი
- დამცველი
- კიბე(ავზი)
- ძრავის სარქველი
- ბურბუშელის დაცვის მილი
- ელექტროსადენის ტიგელი
- ვენტილატორის ჩარჩოები
- საშრობი კონსტრუქციის ელემენტები
- მშრალი ბურბუშელის საცავის სარქველი
- სპირალური კონვეიერის სარქველი მილი
- ფანის მილები (21ცალი)
- გასაშრობი კონსტრუქციის ნაწილები (12ცალი)
- ციკლონის პლატფორმები
- მტვრის ციკლონის შასის ნაწილები
- ციკლონის ქვედა პლატფორმები
- პროპელერის სისტემის მილები (4ცალი)
- ვენტილატორის სისტემის მილები(4ცალი)
- საშრობის ციკლონის მილი
- ot ბურბუშელას ვენტილატორი
- ჩამჩიანი რგოლი
- პრეს-სისტემა
- ჰიდრავლიკის ცხელი წნეხი, წნეხის ზედა ნაკეცი
- სამონტაჟო მასალა, ხელსაწყოები, ელექტროდები, საჭრელი ქვები და ა.შ
- რულონის ფორმის ზომების მიმცემი ხელსაწყო
- გახურებული ზეთის გამანაწილებელი მთავარი მილი
- პრესის შიდა ჯაჭვის გადასატანი ძირები
- პრესის ზედა პლატფორმები
- პრესის ჰიდრავლიკური შასის ნაწილი
- შასის ნაწილები
- გახურებული ზეთის ქვაბის მილი
- დასაწებებელი მანქანის პლატფორმები (3ც)
- კიბის ჩარჩოები
- გასაჭიმი პლატფორმის ჩარჩოები
- ფოლადის ლენტის ფილები
- ჰიდრავლიკური ცხელი წნეხის ცილინდრები
- ვარსკვლავას გაგრილების სიმეტრიის ჩარჩოები
- დამჭრელის გადამტანი რულონიანი კონვეიერი
- დასაწებებელი დანადგარის შესვლის არხები
- ვარსკვლავას გაგრილების ფილის გამოსაწევი გვერდითა კონსტრუქციები
- ჰიდრავლიკური ზეთის ავზი
- წნეხის კონსტრუქციის დეტალი
- წნეხის ჩარჩოები
- ლითონის ლენტის ტრანსპ. კონსტრუქციის დეტალები (10მ)
- წნეხის ჩარჩოს კალაპოტი
- დასაწებებელი დანადგარი
- პასტის შემწოვი ვენტილატორი და ზედა მილი
- გახურების ზეთის კონსოლი
- უკან მობრუნების წებოიანი ბურბუშელის მილები (15 ცალი)
- ვარსკვლავას საბრუნავის კორპუსი
- საბურავის საკეტები (20 ცალი)
- გასაჭიმი მანქანის კონსტრუქციის დეტალები
- გასაჭიმი გვერდითა საფარის სარქველები
- დასაწებებელი კონსტრუქცია
- წნეხის კონსტრუქციის დეტალები
- გასაჭიმი დამცველი
- ჰიდრავლიკური ცილინდრი
- გასაჭიმი დანადგარის წებოიანი ბურბუშელის გამანაწილებელი ლენტიანი კონვეიერი
- წნეხის ბალანსის მილებიანი კონვეიერი
- ამწევი პისტონი და მილები
- ზეთის საღებავები
- გაგრილების ჰიდრავლიკური ერთეული, რულონიანი კონვეიერის სიჩქარის კოლოფი, ჯაჭვის მილი და პისტონი, ფოლადის ლენტის სიჩქარის კოლოფი
- რულონიანი კონვეიერის ელექტრო-ძრავები, საგანები, ბორბლების ვენტები, ფილტრები
- ენერგიის განაწილების კოლოფები (6 ცალი) დონის მაჩვენებლები
- გახურების ზეთის სისტემის ელექტრო-განაწილების კოლოფი და ელექტრონული მართვის სადენები
- გასაჭიმი დანადგარის ფარცხები და ელექტროსადენები
- მშრალი ბურბუშელის საცავის დასაცლელი სისტემა
- წნეხის მართვის ელემენტები და დეტალები
- ფოლადის ლენტი (7 ცალი) სადენების პაკეტი, დამიწების სადენები, □NT უსაფრთხოების ბოლტები და ჭანჭიკები.
- წნეხის მექანიკური დეტალები, მართვის პულტის შეერთების დეტალები (12 ცალი) და ა.შ
- ფოლადის მავთულის გახურებული ზეთის მილები
- ჰიდრავლიკური სისტემის მილები და დამცველები
- ჰიდრავლიკური სისტემის დეტალები, საიზოლაციო მინა, ფირმის ემბლემა
- დასაწებებელი სისტემის დეტალები (წებოს მომზადების ერთეული)
- საიზოლაციო მინა
- საცდელი სამუშაოების დრო გამოსაყენებელი დაზიანებული ფოლადის ლენტები (8 ცალი)
- აზბესტის ფილები
- წნეხის ელექტროდეტალები
- მართვის პანო და ქსელის რეგუ-ლატორი
- გასაჭიმი მართვის პანო, ელექტრო-სადენები, დონის რეგულატორი
- გასაჭიმი მანქანის ელექტროძრავის რედუქტორი მართვის დეტალები
- ფოლადის ლენტის სისტემის ჯაჭვი და დეტალი
- გასაჭიმი დანადგარი (o.t.-თვის)

იხ. 8 გვ.

# განცხადება აუქციონის შესახებ

(მეშვიდე გვერდიდან)

- გახურებული ზეთის მილები
- ფოლადის ლენტის სისტემის ტრანსპორტიორის კონსტრუქციის დილისა და ამუშავების სისტემა
- წნეხის ჩარჩოები
- ფოლადის ლენტის ჩარჩოები
- ლენტიანი კონვეიერი
- ლენტიანი კონვეიერის ჩარჩო
- დამჭრელი რულონიანი კონვეიერი
- წებოს წასასმელი დანადგარის ჩარჩო
- ჰიდრავლიკური ერთეულის ჩარჩო
- ჰიდრავლიკური ერთეულის კონსტრ. □ელემენტ.
- წებოს წასასმელი დანადგარის კონსტრ. ელემენტ.
- ზუმფარის დანადგარის რულონიანი კონვეირი
- გასაჭიმის ზედა წებოიანი ბურბუშელას გამანაწილებელი ლენტიანი კონვეიერი
- ჰიდრავლიკური ცილინდრი
- ჰიდრავლიკური ამწევი ცილინდრი
- გადასაჭრელი რულონი
- პრესის ჩარჩოები
- პრესის უკანა მობრუნების ბუნკერი
- გავარვარებული ზეთის სისტემის მილი
- წნეხის ჩარჩოები
- ფოლადის ლენტის ტრანსპორტიორის კონსტრუქციის ნაწილები
- ჰიდრავლიკური ცილინდრი
- გადასაჭრელი გამოსვლის ლიფტი
- მოხრის დამყოფი დანადგარი
- გვერდის ჩამომჭრელი მანქანა
- წნეხის წინა კონსტრუქციის რკინები
- გადამჭრელი ქვედა კონსტრუქციის რკინა
- გადამჭრელი უკანა მობრუნების ბურბუშელის ვენტილატორი
- უ.ტ. შეკავების მანქანა
- ლენტიანი კონვეიერი
- გადასაჭრელი მანქანის ვენტილატორი
- ჰიდრავლიკური ცილინდრები
- ზომის დასადგენი (სიგრძის გადასაჭრელი) მანქანა
- ზომის დასადგენი მანქანის მასალა
- გადასაჭიმი ზედა გამანაწილებელი არხი
- ჰიდრავლიკური ცხელი პრესის ქვედა ფილა
- გამანაწილებელი დანადგარი
- წნეხის კორპუსის ქვედა საგებელი
- წნეხის გახურებული ზეთის თხევადი საწვავის ავზი
- გახურებული ზეთის სისტემის მილი
- გახურებული ზეთის სისტემის სამაგრები
- გახურებული ზეთის სისტემის კონსტრ. დეტალები
- წნეხის და საჭრელი მტვრის შემგროვებელი მილები
- მტვრის შემგროვებელი მილების კონსტრ. დეტალი
- ფოლადის კონვ. სისტემის კბილანები
- გახურებული ზეთის სისტემის ზეთის მაფართოებელი ავზი
- წნეხის სისტემის ელექტროსადენები
- ვარსკვლავას საბრუნავის ცილინდრის კორპუსის ნაწილი
- საბრუნავის საკეტები
- საბრუნავის სადგამები
- ჩარჩოს კონსტრ.რკინები
- საჭრელი მანქანის ჩარჩოს კონსტრ. რკინები
- გახურებული ზეთის მილები
- გასაჭიმი გვერდის ლითონის ფურცლები
- პასტის საჭრელი კონსტრუქციის რკინები
- შემწოვი მილი
- ძრავის დამცველი
- წნევის ცილინდრი
- პნევმატიური მილი
- ლიფტის გვერდითა ნაწილები (სარქველის რკინები)
- ზუმფარის ჩარჩოს კონსტ.ნაწილები
- ძრავის სარქველები
- ვარსკვლავას საბრუნავი სადგამები წუნდებული პასტის სპირალური კონვეიერის ძრავის საცავის დანები
- ჰიდრავლიკური სისტემის დეტალები
- გასაჭიმი მანქანის მართვის სისტემა,კომპიუტერის ტექნიკური საბუთები და სხვა
- წებოს მოსამზადებელი სისტემის დეტალები
- ჰიდრავლიკური ცხელი წნეხის სხვადასხვა დეტალები
- გახურებული ზეთის სისტემის სხვადასხვა დეტალები
- ჰიდრავლიკური ცხელი წნეხის ჰიდრავლიკური დეტალები
- ჰიდრავლიკური ცხელი წნეხის პისტონის ცილინდრის დეტალები
- საჭრელი დანადგარის გამოსასვლელის გამწევიანი და რულონიანი კონვეიერი
- გასაჭიმი საჭრელის დამცველი დეტალები
- გვერდითა გამწევის რულონის ჩარჩო
- გაგრილების წყლისა და ტექნიკური წყლის ტუმბოები
- გახურებული ზეთის მილი
- წებოს დანადგარი
- ჰაერის ავზი
- თხევადი საწვავის ავზი
- ფოლადის ლენტის სარქველის რკინები
- ელექტროსადენის კასეტები
- გასაჭიმი ჩარჩოს ელემენტები
- გასაჭიმი დამცველი
- დეტალების გადასაზიდი დანადგარი
- წნეხის ჩარჩოები
- ფოლადის ლენტის კონვეიერის ჩარჩოები
- ჰიდრავლიკური სისტემის სათადარიგო ნაწილები
- წნეხის სათადარიგო ნაწილები
- ჯაჭვის საკეტი და სხვა
- პისტონის ჯაჭვის ძრავის კბილანებიანი დამცველის სარქველები
- ჰიდრავლიკური დეტალები და სერ. ვენტილები
- წებოს მომზადების დანადგარის დეტალები
- წნეხის ჰიდრავლიკური დეტალები
- ჰიდრავლიკური ავზი
- წნეხის ჰიდრავლიკური განაწილების მილები
- ჰიდრავლიკური სისტემის სათადარიგო ნაწილები
- ჰიდრავლიკური პნევმატური დეტალები
- გასაჭიმი ლენტიანი სასწორი, საჭრელის მტვრის მილი
- ლენტიანი სასწორი, ვინტი, კაპლ. ჯაჭვი
- რედუქტორი და ძრავები (6ცალი)
- ჰიდრავლიკური მილების ლითონის დეტალები
- კონვეიერის რულონები
- დასაწებებელი სისტემის დეტალები
- ჰიდრავლიკური ერთეულის ავზის ტუმბო და ვინტები
- ჰიდრავლიკური ზეთის გაციების ვენტილატორი
- ჰიდრავლიკური ტუმბოს ძრავები
- ჰიდრავლიკური ძრავები
- მუდმივი ქსელის ტუმბო
- ჰიდრავლიკური მილი(წნევის კონტროლი)
- სახეხი მანქანა-დანადგარები
- ჩატვირთვის რულონები
- მერქანბურბუშელის ფილის კორექტორი
- ზუმფარის 1ხარისხის რულონი
- ზუმფარის ერთეულის კონსტრუქციის ნაწილები (ელემენტები)
- ზუმფარის დანადგარის რულონიანი კონვეიერი
- მტვრის შესაგროვებელი მილები (4ცალი)
- მტვრის შესაგროვებელი მილები (2ცალი)
- ციკლონის პლატფორმები
- ზუმფარის დანადგარი
- ზუმფარის გასაჭიმი კონსტრუქციის ნაწილი(5ცალი)
- ლენტიანი გასაჭიმი ჩარჩო
- ზუმფარის რულონი
- ზუმფარის ლიფტის ჰიდრავლიკური რეზერვუარი
- ზუმფარის კონსტრუქციის ნაწილები (ელემენტები)
- ზუმფარის მილები (2ცალი)
- ზუმფარის მტვრის სისტემის ჰაერის ვენტილატორი
- ზუმფარის მტვრის სისტემის ჩამჩიანი რკალი
- ზუმფარის მტვრის ვენტილატორი
- ზუმფარის რულონიანი გადამტანი
- ზუმფარის მტვრის სიტემის ციკლონი
- მტვრის სისტემის კონსტრუქციის დეტალები
- ზუმფარის დანადგარის გადამტანი რულონიანი კონვეიერი
- ზუმფარის მტვრის სისტემის გამანაწილებელი მილი
- მტვრის სისტემის კონსტრუქციის დეტალები
- ზუმფარის სადენები (პატარა)
- ზუმფარის დანადგარის მტვრის სისტემის ჰაერის განაწილების მილი
- მტვრის სისტემის ჩამჩიანი რკალი
- ზუმფარის დანადგარი-ჩამჩიანი რგოლი
- მტვრის სისტემის ციკლონი
- მტვრის სისტემის კონსოლი
- ზუმფარის აგალდი
- ზუმფარის 37კოლოფის მართვის პანო
- ზუმფარის დანადგარი-ციკლონი და კიბეები
- ზუმფარის ლიფტის ჩარჩოები
- ზუმფარის მტვრის სისტემის მილი
- ჰაერის ავზი
- მონტაჟისათვის გადახდილი ხელფასი
- ჰაერის კომპრესორი
- ჰაერის კომპრესორი და გამათბობელი
- სალესი მანქანა-დანადგარები
- ქვის დამუშავების მანქანა, ნახერხის ფიცრების წარმოების ხაზი
- ლაბორატორიის მოწყობილობა
- ლაბორატორიული მასალები 5კოლოფი
- ელექტრომოწყობილობა
- ბურბუშელის წარმოების ერთეულის ელექტროსადენები
- გასაჭიმი სადენები (დიდი)
- ზუმფარის სადენები (დიდი)
- დასაწეპებელის სადენები (პატარა)
- საშრობის სადენი (დიდი)
- საშრობის სადენი (პატარა)
- გასაჭიმი მანქანის მართვის სისტემა კომპიუტერის ტექ.საბუთები.კოლ.21
- ცირკულაციის ტუმბოები, გახურებული ზეთის ბოლტები, ტუმბოს ძრავები. მართვის პულტი კოლ20
- ელექტროსადენები-ბურბუშელის გაშრობის u64 კვების, დასაწეპებელი დანადგარის ძრავის მართვა
- ელექტროაღჭურვილობა, წნეხის საჭრელი პანო
- გაშრობა
- ბურბუშელის წარმოება, (ხერხვა) hombak
- ბურბუშელის წარმოება(ხერხვა) palman
- ბურბუშელის წარმოება rt 25-90
- წნეხის ვარსკვლავის პანო
- წნეხის გასაჭიმი
- წნეხის ქვაბის ზეთის სისტემა
- ზუმფარა
- წნეხის პლც პანოები
- ელექტროსადენი
- ტრანსპორტიორი, შნეკი, ძრავით, რედუქტორით
- ვენტილატორის დანადგარი
- 500-იანი დოზატორი
- 450-იანი დოზატორი
- 2xskm-v-50/4 2x22kw-2900 d/d ჰიდროფორი
- dn 100 3მიმართ. დანადგარი
- თბოგადამცემი
- საწარმო საშუალებები
- პლაზმატრონი
- პლაზმური ჭრის დანადგარი
- დიზელ-გენერატორი ად-200
- ცისტერნა (53.3ტ)
- ცისტერნა (62ტ)
- 7026901
- ბეტონის საჭრელი დაზგა
- კბილსარანდო(დაზგა)
- კუთხვილსაჭრელი მანქანა (დაზგა)
- სახარატო ჩარხი-17677
- სახარატო ხრახნსაჭრელი დაზგა მოდ 1მ63
- გადასაჭრელი ხერხი
- ვერტიკალური სახერხი
- ვერტიკალური საღარავი
- სამზარეულო კომპლექტი
- ელ.სასწორი sts(60ტ)
- ბოილერი/გემელი/
- სახანძრო სისტემა
- ოფისის აღჭურვილობა
- კომპ. pentium 4
- პრინტერი
- კომპიუტერი სელერონი
- კომპიუტერი pentium4 3.0
- კომპიუტერი pentium 4
- კომპიუტერი
- მონიტორი
- სალარო აპარატი
- ნოუთბუქი

მოძრავი ნივთების საწყისი ფასია 500 000 (ხუთასიათასი) აშშ დოლარი ეროვნულ ვალუტაში.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს "თიბისი ბანკი".

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც ვაჭრობაზე დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის მესაკუთრე.

**სპეციალისტი სს "თიბისი ბანკი"**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

---

**2010 წლის 19 ნოემბერს 10:00 საათზე მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7 ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს „ალიონი 21"-ის (მისამართი: მცხეთა, სოფელი ძეგვი ს/ნ 204513712) კუთვნილი უძრავი ნივთის რეალიზაცია.**

**გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი უძრავი ნივთი:** მცხეთა, სოფელი ძეგვი, საკადასტრო კოდი №72.11.04.299, დაზუსტებული ფართობი 53 390 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები – უძრავი ნივთის საწყისი ფასია 500 000 (ხუთასიათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთებზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს „თიბისი ბანკი".

თითოეულ ნივთთან დაკავშირებით აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება პირი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს „თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის ან ნივთების მესაკუთრე.

**სპეციალისტი სს "თიბისი ბანკი"**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## „საჯაშუშო ქსელის“ გამო საქართველო და რუსეთი ერთმანეთს დაეტაკნენ

**საქართველო და რუსეთი აღმოჩნდნენ ახალი კრიზისის ზღვარზე მას შემდეგ, რაც თბილისმა გამოაცხადა საჯაშუშო ქსელის გამოაშკარავების შესახებ. ქსელს ხელმძღვანელობდა მოსკოვი, დაპატიმრებულია 4 რუსი და 9 ქართველი**

რუსეთის მთავრობამ უარყო ბრალდება, მას პროვოკაცია უწოდა, რომელიც მიზნად ისახავს ჩაშალოს რუსეთ-ნატოს სამიტი პორტუგალიაში. სამიტი დაგეგმილია ამ თვისთვის.

კრიზისი გაჩაღდა ორ ქვეყანას შორის მცირე ომიდან ორი წლის შემდეგ. საუბრობენ, რომ ორმხრივი ურთიერთობა მეტად დაძაბულია ამჟამად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ 13 დაპატიმრებული იყო შეთქმულების მონაწილე და მოქმედებდნენ საქართველოს საჰაერო ძალებში – ისინი გადასცემდნენ საიდუმლო ცნობებს რუსეთის სამხედრო დაზვერვას. განცხადებაში აღნიშნულია, რომ დაკავებულთა შორის არიან 6 ქართველი სამხედრო მფრინავი. მათ ბრალი ედებათ საიდუმლო ინფორმაციის გადაცემაში ოპერაციების შესახებ, რომლებიც შეეხება საჰაერო ძალებს.

საქართველოს თანამდებობის პირთა განცხადებით, საჯაშუშო ქსელში ჩართული იყო აგრეთვე „ათობით“ სხვა პირი, რომლებიც ჯერჯერობით დაკავებული არ არიან.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო ბრალდება, მას გამონაგონი უწოდა, განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობას „სჭირს ქრონიკული შპიონომანია ანტირუსულ ნიადაგზე“.

**Guardian**

## ატომური ბომბისთვის მასალა საქართველოში შავ ბაზარზე აღმოჩნდა

**მაღალგამდიდრებული ურანი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ატომური ბომბის წარმოებისთვის, იყიდება საბჭოთა კავშირის ყოფილი პერიფერიის შავ ბაზარზე. ეს გამოაშკარავდა საქართველოში მიმდინარე დახურულ სასამართლოში ორ სომეხ პიროვნებაზე, რომლებმაც აღიარეს დანაშაული მაღალგამდიდრებული ურანის კონტრაბანდაში**

ამ სპეციალური ოპერაციის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა აპრილში ვაშინგტონში ბირთვულ სამიტზე, მაგრამ საქმის დეტალები დღემდე არ ქვეყნდებოდა. პროცესი მიმდინარეობდა დახურულ კარს მიღმა




ბირთვული იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საქართველოს ქედანაყოფის მუშაობის საიდუმლოების დაცვის მიზნით, მაგრამ გამოძიების წარმომადგენლებმა ჩვენს გაზეთს გადმოსცეს ექსკლუზიური ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით.

როგორც გამოძიების დროს გახდა ცნობილი, საკვანძო ინგრედიენტი ატომური ქობინის წარმოებისთვის შეიძლება მონახო შავ ბაზარზე და საკმაოდ იოლად გადაიტანო ყოფილი სსრ კავშირის საზღვრების გასწვრივ. ეს მასალები წარმოადგენენ ძვირადღირებული რადიაციის დეტექტორებს. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენი ბირთვული ნივთიერება ცირკულირებს შავ ბაზარზე და შეიძინეს თუ არა ეს ნივთიერებანი ექსტრემისტულმა დაჯგუფებებმა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მილიარდობით დოლარი დაიხარჯა უშიშროების უზრუნველსაყოფად ბირთვულ ობიექტებზე მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით რუსეთში, მაგრამ გაურკვეველია, რამდენი რადიაქტიური ნივთიერება იყო მოპარული ადრე. ვარაუდობენ, რომ ურანი, რითაც ვაჭრობდნენ სუმბატ ტონოიანი და გრანტ ოგანიანი, მოპარული იყო რამდენიმე წლის წინათ. ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებულმა ტესტებმა აჩვენეს, რომ ურანი გამდიდრებულია 89,4 პროცენტამდე და იგი გამოსადეგია ბირთვული ქობინის საწარმოებლად. ფიგურანტებს ჰქონდათ ნივთიერების სულ 18 გრამი, მაგრამ მიმწოდებელმა სომხეთში თქვა, რომ მას კიდევ აქვს ასეთი ნივთიერებანი. 43 წლის ყოფილმა ფერმერმა ტონოიანმა და 59 წლის მეცნიერმა ოგანიანმა ურანი შემოიტანეს ერევანი-თბილისის მატარებლით სიგარეტის კოლოფით, რომელსაც ტყვიის საფარველი ჰქონდა. შეხვედრა მყიდველთან უნდა გამართულიყო თბილისში 11 მარტს: სომხებს, იმედი ჰქონდათ, რომ ურანს მიჰყიდდნენ ისლამური დაჯგუფების წარმომადგენელს, მაგრამ იგი გადაცმული პოლიციელი აღმოჩნდა.

„უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში ეს მესამე შემთხვევაა, როდესაც საქართველოში ხელში იგდებენ მაღალგამდიდრებულ ურანს. სულ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ რეგიონში ხელში ჩაიგდეს ეს ნივთიერება 21-ჯერ, ანდა თავიდან აიცილეს რადიოაქტიური ნივთიერების მოპარვის მცდელობა. ყოველ ამ შემთხვევაში მასალების დაკარგვა არ ყოფილა აღმოჩენილი, ქურდობათა უმეტესობა კი მოხდა ბირთვული ობიექტების თანამშრომლების მიერ“, – აღნიშნავს გაზეთი.

რაც შეეხება სამ შემთხვევას, რომლებიც დაფიქსირდა საქართველოში, არის ზოგიერთი დამოწმება მოპარული ურანის კავშირის შესახებ ბირთვული საწვავის ქარხანასთან ნოვოსიბირსკში. მაგრამ „საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში დაძაბულობის გამო 2008 წლის ელვისებური ომის შემდეგ შეუძლებელი იყო მასალების წარმომავლობისთვის თვალის გადევნება“, – ხაზგასმით აღნიშნავს გამოცემა.

„სავარაუდოა, რომ მასალა მოპარული იყო 1990-იანი წლების შუა პერიოდში, ან დასაწყისში, როდესაც დაიკარგა ბევრი მასალა. ის სადღაც იყო დამალული და დროდადრო ცდილობდნენ მოეძებნათ ახალი მყიდველები“, – აღნიშნავს არჩილ ფავლენიშვილი, რომელიც სათავეში უდგას რადიაქტიური მასალების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალურ ჯგუფს. – ვფიქრობთ, რომ ეს არ არის უკანასკნელი შემთხვევა და მცდელობანი კიდევ იქნება“.

**Guardian**

### დედამიწის ზურგზე



**ადამიანი ყველაზე გრძელი გვარით აღმოჩნდა გერმანიაში**

45 წლის მეფილე ბერნდის გვარი გერმანული დამწერლობით შედგება 24 ასოსგან. იგი არის რეინის ოლქიდან. ეს მამაკაცი ხშირად გადაეყრება ხოლმე პრობლემებს დოკუმენტების შევსების დროს.

**ვულკანის ამოფრქვევამ იავაზე 150 კაცის სიცოცხლე შეიწირა**

საავადმყოფოებში იმყოფება 382 დაზარალებული. ამას გარდა გაიზარდა ცუნამის მსხვერპლთა რაოდენობა სუმატრის დასავლეთ სანაპიროზე. გაიზარდა აგრეთვე დაღუპულთა რაოდენობა წყალდიდობის შედეგად, რომელიც ოქტომბრის დასაწყისში მოხდა. სამი კატაკლიზმის მსხვერპლთა საერთო რაოდენობამ ინდონეზიაში თითქმის 800 კაცი შეადგინა.

**გერმანიაში აღნიშნავენ ბერლინის კედლის დაცემის 21- წლისთავს**



1961 წლის აგვისტოში აგებული კედელი 28 წლის განმავლობაში იყო ცივი ომის სიმბოლო, რომელიც დასავლეთ ბერლინს ჰყოფდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკისგან. კედლის დაცემის მორიგ წლისთავს გერმანიაში უფრო მშვიდად აღნიშნავენ, ვიდრე წინა იუბილეს, როდესაც აქ ჩამოვიდნენ პოლიტიკოსები მთელი მსოფლიოდან.

**მზეზე დარეგისტრირდა უკანასკნელი წლების მანძილზე მესამე ყველაზე ძლიერი აფეთქება**

მნათობის ზედაპირზე აფეთქებები შეესაბამებოდა მუქი ლაქების ჯგუფების განლაგებას და მიეკუთვნებოდა მ 5,4 კლასს. ეს კლასი სახიფათოდ ითვლება დედამიწისთვის, მაგრამ ამ შემთხვევაში რენტგენული გამოსხივების ნაკადის მიმართულება ჩვენი პლანეტის გვერდის ავლით მიდიოდა.



კალენდრის წითელი ფერი

## 7 ნოემბერი, 6-ლარიანი წიწიბურა, საქართველო სსრკ-ის წინააღმდეგ და ა.შ.

(მეექვსე გვერდიდან)

ახლა იმაზე, თუ დღეს ვისთვის რა ასოციაციებს იწვევს 7 ნოემბერი. ილიას უნივერსიტეტზე მოგახსენეთ – გიგი თევზაძის „კანტორა“ რომ მუდამ ნაცების ფარვატერშია (თუ პირიქით?ძ ეს არ ახალია და ახლაც აი, ვირტუალური სასამართლო პროცესი წამოიწყო სსრკ-ის წინააღმდეგ.

მოკლედ ჩვენს ბედნიერ ტელევიზიებს ამ დღეებში სხვა არაფერი ჰქონდათ სალაპარაკო, თუ არა გიგი თევზაძის დროული ინიციატივა ვირტუალური სასამართლო პროცესისა და, რა თქმა უნდა, ჩვენი მამაცი უშიშროების მიერ ჯერ არნახული ჯაშუშური ქსელის გამოვლენისა. ერთიც და მეორეც რომ უმძიმესი სოციალური პრობლემების მიჩქმალვის, ანუ აქცენტების სხვა მიმართულებით გადატანის მცდელობაა. ეს „აქცენტების“ წამყვან ეკა კვესიტაძეს ჰგონია, რომ ამას ვერ ვხვდებით, თორემ...

ოპოზიციამ პარლამენტის წინ შეკრებით აღნიშნა 2007 წლის 7 ნოემბერი. თუ იქ მისული ხალხის რაოდენობის მიხედვით ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ ამასწინანდელი ამერიკული სოციალური კვლევის შედეგები, არც თუ შორს უნდა იყოს რეალობიდან. ანუ, ის კია ზღაპარი, რომ სააკაშვილს 83-პროცენტიანი მხარდაჭერა აქვს, მაგრამ ოპოზიციაც, რომ არ ეხატება ხალხს გულზე, ესეც უეჭველია.

პარლამენტის წინ შეკრებილი ორასიოდე კაცი იყო ამის დასტური და კიდევ იმისა, რომ წლევანდელი 7 ნოემბერი ღირსების დღე კი არა, როგორც ზოგიერთი ოპოზიციონერი გაჰყვირის, საყოველთაო ნიჰილიზმის, უიმედობის სიმბოლო უფროა.

ამის მიზეზი კი მეტნაკლებად ყველა ოპოზიციონერია, მაგრამ განსაკუთრებით – უფროსი გრეჩიხა, ვისი ფასიც, ნამდვილ წიწიბურას ფასზე გაცილებით ნაკლებია – ფრიად სამწუხაროა, რომ გრეჩიხას მარაქაში შეიძლება გუბაზ სანიკიძეც ერიოს, მისი დათქმული 4 ნოემბრის გამო...

ჰო, სულ დამავიწყდა, ჩვენში ხომ არსებობდა ზემოთ ნახსენები არასაპარლამენტო, რადიკალური (ისემც დაუმშვენდათ ცხვირიძ ოპოზიცია? საპარლამენტო ოპოზიციაზეც გვსმენია რალაც, მაგრამ კიდევ ერთი სახის ოპოზიცია „გაიხითა“, რომელმაც თავის თავს „დიდი რვიანი“ უწოდა, მე კი კვალიფიციურ ოპოზიციას ვუწოდებდი.



ისინი, ყველანი ერთად თუ ცალცალკე, საარჩევნო (2012 წლისძ გარემოს გასაუმჯობესებლად იბრძვიან. თან აცხადებენ, რომ ხელისუფლებისთვის არსებული საარჩევნო გარემოს შეცვლა, მათი ხელისუფლების დასასრულს ნიშნავს და თან მათთანვე აპირებენ მოლაპარაკებას – სად არის აქ ლოგიკა კი არა, ელემენტარული საღი აზრი, ეს თქვენ განსაჯეთ...

ამათგან, ახლების ლიდერმა, დავით გამყრელიძემ განაცხადა, რომ არ აპირებს 7 ნოემბრის და ზოგადად საკრალური (ამ სიტყვის მნიშვნელობა ეტყობა არ იცისძ თარიღების აღნიშვნას და თელავში მივდივარ, აშშ-ის მიერ დაფინანსებული(???ძ მემარჯვენეთა კონფერენციაზე (იქნებ საქეიფოდ? – ავტ.ძ და წარმატება უსურვა 7 ნოემბრის ქუჩის აქციით აღმნიშვნელებს.

ირაკლი ალასანიამ კვალიფიციური ბრიფინგით დაგმო 2007 წლის 7 ნოემბერი. სხვა „კვალიფიციური ოპოზიციონერები“ – რესპუბლიკელები, მგონი არსად გამოჩენილან.

წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა კობა ხაბაზის ახალი ინიციატივა გახდა ცნობილი – კავკასიონის ორ უსახელო მწვერვალს ლეხ კაჩინსკის და ბარაკ ობამას სახელები დავარქვათო.

ამაზე კარგად იანგლა ვიღაცამ „მაესტროს“ ეთერში: კობა ხაბაზმა, აჭარის ჯანდაცვის მინისტრობისას, ხანძრით დაზარალებულ ერთ ქალბატონზე თქვა, ქალს წინა და უკანა კიდურები დაეწვაო და ასე მეგონა, რომ კობა ხაბაზი ამაზე დიდ სისულელეს ვეღარ იტყოდაო, მაგრამ...

ჰოდა, შევარჩიოთ კავკასიონზე უსახელო „პიტალო კლდე“ და კობა ხაბაზის სახელი ვუწოდოთო, კარგად თქვა ერთმა. მართლაც, ამხანაგი კობა დიდი ხანია იმსახურებს „პიტალოს“ ეპითეტს (ცხონებული ლუი დე ფიუნესს რას ვერჩითძ, მაგრამ ყოველი ზემოთ თქმულის გამო, რომ საქართველო ერთ დიდ №6 პალატას ემსგავსება ჩვენს თვალწინ, ამას რა ვუყოთ, ხალხო?

ღმერთო, შენ უშველე საქართველოს! ერთი უფლის იმედიღა მაქვს, თორემ ამ ოპოზიციის – საპარლამენტოს, არასაპარლამენტოს, კვალიფიციურის და „დიდი რვიანის“, თითო-ოროლა სუბიექტის გამოკლებით, დედაც ვატირე...

**დავით მხეიძე**

## რაგბი

# ისევ ისინი



**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა – დარჩა მხოლოდ 14 ნოემბერს გასამართავი ფინალური მატჩი. იქ კი, შარშანდელივით, „ლელო" და „ლოკომოტივი" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.** ეს უფლება მათ ფლეიოფში გამარჯვებით დაიმსახურეს. როგორც გაუწყეთ, პირველ რაუნდში ქვეყნის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა „ლელომ" რკინიგზელებს 22:10 მოუგო. ამის მიუხედავად, „ლოკომოტივს" ოქროს მედლის მოპოვების შანსი არ დაუკარგავს. ქუთაისის „აიას" მძლეველ (23:13ძ „ვისოლი-ყორჩებს" მცირე ფინალში შეხვდა. მატჩი რკინიგზელებისთვის არასასურველი სცენარით დაიწყო – მეტოქის იერიშებს ვერაფერი დაუპირისპირეს და 22-ე წუთისთვის „ვისოლი-ყორჩები" 11:0 დაწინაურდა. ანგარიში კი ბექა ნიკოლაიშვილის ლელოთი გაიხსნა. 25-ე წუთიდან, მას შემდეგ, რაც ზობა კვინიხიძემ ზუსტი საჯარიმო დარტყმით ანგარიში შეამცირა, უპირატესობას თანდათან „ლოკომოტივი" დაეუფლა. ტაიმის მიწურულამდე ზობამ კიდევ ორჯერ იყოჩაღა – 9:11. შესვენების შემდეგ თამაშის სცენარი არ შეცვლილა. რკინიგზელებმა საბოლოოდ 18:14 გაიმარჯვეს და გადამწყვეტ პაექრობაში მონაწილეობის უფლებაც დაიმსახურეს.

**გივი გაგუა**

## კრივი

# ახალკაცის ახალი ამპლუა



**მეხუთე წელიწადია, ვლადიმერ ახალკაცი საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალური მდივანია. ამ ხნის განმავლობაში მრავალ კარგ საქმეს ჩაუყარა საფუძველი, რაც საერთაშორისო ორგანიზაციების მესვეურებსაც არ გამორჩენიათ მხედველობიდან. ახლახან იგი ყაზახეთის ყოფილ დედაქალაქ ალმათიში კრივის მსოფლიო ასოციაციის (AIBAძ კონგრესსა და საკონტინენტო ასოციაციების გენერალურ ასამბლეაში მონაწილეობდა.** AIBA-ს პრეზიდენტად მომავალი ოთხი წლით ისევ ტაივანელი ჩინგ კუ ვუ აირჩიეს, ევროპის ფედერაციას ფრანგი ჰუმბერტ ფურგონი უთავკაცებს, რომელმაც თავისი ორგანიზაციის 16-კაციანი აღმასკომის შემადგენლობაში ვლადიმერ ახალკაციც დაასახელა. 46 ქვეყნის წარმომადგენლებმა მის კანდიდატურას ერთხმად დაუჭირეს მხარი. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქართველი სპეციალისტი ევროპის კრივის კონფედერაციის აღმასკომში აირჩიეს. ამგვარი პატივი, როგორც ბატონმა ვლადიმერმა გვითხრა, ქართული კრივის დაფასებაა, რომელიც მსოფლიო სარბიელზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: ჩინგ კუ ვუ და ვლადიმერ ახალკაცი.**

## ფეხბურთი

# სლოვენიისთვის ემზადებიან



**გულშემატკივრებმა იციან, რომ საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები 17 ნოემბერს სლოვენიელებთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. ამ ორთაბრძოლისთვის მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ 30 ფეხბურთელი გამოიძახა. სანაკრებო სიაში შვიდი დებიუტანტია. საერთოდაც, ჩვენი გუნდი გადახალისებული შემადგენლობით იასპარეზებს.**



**მეკარეები:** გიორგი ლორია, როინ კვასხვაძე, გიორგი ძაძამია.

**მცველები:** კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, უჩა ლობჟანიძე, დავით კვირკველია, აკაკი ხუბუტია, გიორგი ხიდეშელი, გიორგი ონიანი, ზაალ ელიავა, ლევან კაკუბავა, გიორგი რეხვიაშვილი, ნიკა კვეკვესკირი.

**ნახევარმცველები:** ჯანო ანანიძე, ჯაბა კანკავა, სანდრო გურული, გოჩა ხოჯავა, თორნიკე ოქრიაშვილი, ალექსანდრე კოშკაძე, კახაბერ ალადაშვილი, მურთაზ დაუშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი, გურამ გურეშიძე.

**თავდამსხმელები:** ოთარ მარცვალაძე, ირაკლი მოდებაძე, მათე ვაწაძე, ნიკოლოზ გელაშვილი, ჯაბა ლიპარტია.

**ეროვნული ნაკრები დღეიდან თბილისში ივარჯიშებს. 16 ნოემბერს კი ჩარტერული რეისით 22 ფეხბურთელი სლოვენიას გაემგზავრება.**

**ლაშა დიდია**

## ჩოგბურთი

# ანა ასეულს უახლოვდება

**ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა წლეულს რამდენიმე ტურნირში იყოჩაღა, 486 ქულა მოაგროვა და რეიტინგ-ლისტში 134-ე ადგილამდე აღზევდა. წლევანდელ შეჯიბრებებში მან 59 ათას დოლარს მოუყარა თავი.**

მეორე ასეულიდან გავარდა ოქსანა კალაშნიკოვა. 284 ქულით ის ახლა 207-ეა. მაკა ჩახნაშვილს 216 ქულით 254-ე ადგილი უკავია.

## ჭადრაკი



# სანიკიძემ ყველას აჯობა

**გერმანიის მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს 2009 წლის ჩემპიონმა თორნიკე სანიკიძემ პირველი ადგილი დაიკავა.** მართალია, მან შვიდი შესაძლებლიდან 6 ქულა მოაგროვა, ანუ იმდენივე, რამდენიც ინდოელმა დას ნეელოტპალმა, მაგრამ უკეთესი კოეფიციენტით პირველობა სანიკიძეს ერგო. შეჯიბრებაში სხვადასხვა ქვეყნის 93 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

## კალათბურთი

# შერმადინის „ოლიმპიური" რეკორდი

**საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების წევრი გიორგი შერმადინი ამჟამად სლოვენიის „ოლიმპიაში" გამოდის.** გუნდის ხელმძღვანელმა სერბეთის „ჰემოფარმთან" იგი 20 წუთის განმავლობაში ათამაშეს, რაც საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ 13 ქულა და 5 მოხსნა ჩაეწერა აქტივში. თუმცა ამან „ოლიმპია" მარცხისგან (74:84ძ ვერ იხსნა. ბელგრადელები ადრიატიკის ლიგის ფავორიტები არიან: 5 მოგებითა და 1 მარცხით გათამაშების ცხრილის სათავეში არიან. „ოლიმპიას" 4 მოგება და 2 წაგება აქვს. დღეს სლოვენიელები მოსკოვში ევროლიგაზე ბოლო ადგილზე მყოფ ცსკა-ს დაუპირისპირდებიან.



## ინტერნეტიდან

### გებრესელასიე დიდი სპორტიდან მიდის

**დიახ, დიდი სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა გამოჩენილმა ეთიოპიელმა მორბენალმა ჰაილე გებრესელასიემ, როდესაც ნიუ-იორკის მარათონის 26-ე კილომეტრზე მწავე ტკივილი იგრძნო მარჯვენა მუხლში.**

„არასოდეს მიფიქრია სპორტიდან წასვლაზე. ეს აზრი პირველად და უკანასკნელად მომივიდა, ამით ვამთავრებ სპორტულ არენაზე გამოსვლებს", – თქვა სახელგანთქმულმა ათლეტმა.

გებრესელასიემ ორჯერ გაიმარჯვა ოლიმპიურ თამაშებზე (1996 წ. – ატლანტაში, 2000 წელს – სიდნეიშიძ, 4-ჯერ კი მსოფლიო ჩემპიონატებზე 10 კმ. სირბილში. ათენის თამაშების შემდეგ, სადაც ის წარუმატებლად გამოვიდა, გადაერთო უფრო დიდ მანძილზე სირბილში. ის რეკორდსმენია 20 კმ. სირ-




ბილში, 20 და 10 კმ-ზე სირბილში გზატკეცილზე, საათობრივ სირბილში, 2008 წლის 28 სექტემბერს კი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ბერლინის მარათონში (42,195 კმძ.

1995 და 1996 წლებში ის აღიარეს საუკეთესო მძლეოსნად მსოფლიოში.

### კარლსენს ჩემპიონობა არ უნდა?!

**ცნობილმა ახალგაზრდა ნორვეგიელმა მოჭადრაკემ მაგნუს კარლსენმა უარი თქვა მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობაზე და სათანადო წერილიც კი გაუგზავნა ფიდეს.**

**პრეტენდენტთა ტურნირი რვა დიდოსტატის მონაწილეობით გათვალისწინებულია მომავალი წლის აპრილისთვის ყაზანში.**

კარლსენი ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილუმჟინოვსა და პრეტენდენტთა ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტს სწერს: „ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მივედი დასკვნამდე, რომ მიმდინარე 2008-2012 წლების ციკლი არ არის თანამედროვე და სამართლიანი სისტემა". მას არ მოსწონს საჩემპიონო პრივილეგიები 5-წლიან ციკლში რომ გრძელდება და ის ცვლილებები კასპაროვის შემდეგ რომ მოხდა. და კიდევ ერთმანეთზე მიყოლებული მატჩები.



ის ამავე დროს აყენებს რამდენიმე იდეას, რაც უზრუნველყოფს, მისი აზრით, პრეტენდენტთა გაცილებით სამართლიან შერჩევას და რომ მსოფლიო ჩემპიონიც უნდა მონაწილეობდეს პრეტენდენტთა შერჩევაში. ახალი ცვლილებების შემთხვევაში ის აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას პრეტენდენტთა ტურნირში.

ამავე დროს 19 წლის კარლსენი აპირებს პირველი მოჭადრაკის ტიტულის დაბრუნებას, რაც მას ნოემბრის რეიტინგის მიხედვით ანანდიმ „ჩამოართვა".

### თაყვანისმცემლების გასამწარებლად

**ასეთად მიაჩნიათ ბულგარეთის 2010 წლის სილამაზის დედოფლის რომინა ანდონოვას გადაწყვეტილება სამოდელო ბიზნესიდან წასვლის თაობაზე.** ასეთი გადაწყვეტილება ლამაზმანმა, „ლევსკის" ნახევარმცველის დარკო ტასევსკის გულისვარდმა, მას შემდეგ მიიღო, რაც მსოფლიოს სილამაზის კონკურსზე, რომელშიც ისიც მონაწილეობდა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, რადგან მის მეტოქეებს მსაჯები უფრო კეთილმოსურნედ ეპყრობოდნენ, თუმცა ისინი დიდად არ გამოირჩეოდნენო. ამიტომაც არ მინდა გავაგრძელო მოდელის კარიერა და სხვა სამუშაო უნდა მოვძებნოვო, – განაცხადა რომინამ ერთ-ერთ ბულგარულ ტელეგადაცემაში.

თუმცა ყოველივე ეს ანდრონოვამ თითქმის ხუმრობით თქვა, თანაც ფეხბურთელის დიდი იმედი აქვს. ფეხბურთელები ხომ დიდ ფულს აკეთებენ.



◉ მკითხველმა ლექსი შემოგვაჩვია

## ომარ ქეშელაშვილი

### დამისხით ღვინო...

ღვინო მომინდა, ღვინო მწყურია,
ქართული სუფრის ეშხი, მშვენება,
თუ გინდა იგრძნო მისი სხეული
ღვინო უნდა სვა სვენებ-სვენება.
მზე ჩაბუდებულს, ფერად ქარვისფერს
რა შეედრება ჩვენს ქართულ ღვინოს,
მის ყურძნის ჯიშებს ციცქას, ოჯალეშს,
გინდაც რქაწითელს და გინდაც პინოს.
ღვინო გიღიმის, გეალერსება,
და საკოცნელად შენს ტუჩებს იწვევს,
თითქოს თამაშობს, ჭიქაზე ხტება
და დასალევად სულ შენსკენ იწევს.
ღვინო გიმღერის და შენც გამღერებს,
ტკბილად მოსასმენ სუფრის სიმღერას,
ღვინო რაკრაკებს ყანწის პირიდან
და გასმენინებს მის ხმების ჟღერას.
ღვინო ხატია, სურათ-ხატია,
მუდამ კამკამა, მუდამ კრიალა,
გინდ ვარდისფერი, გინდაც წითელი
შენს ტუჩებშუა ყელში სრიალა.
ღვინის დიდება და მისი მადლი
მაგ შენს სხეულში ჩაქარგულია,
ეს ქარგი შენთვის თუ არ მოირგე
მთელი ცხოვრება დაკარგულია.
დამისხით ღვინო, თავზრუ დამესხას
და ნეტარებამ მაღლა ამწიოს,
რომ გადავიდე სხვა თვალსაწიერს
და აკვანივით გადამარწიოს.
ჩემი ნატვრაა კახური ღვინო,
მოტალღოვანე, წითლად ცხებული,
სუფრაზე წესებს რომ აკანონებს,
ყველგან ცნობილი, ყველგან ქებული.
კიდევ შემივსეთ ყურძნის ნაჟურით
ამ ხელში რომ მაქვს აი ის ფიალა,
რომ სადღეგრძელო გითხრათ კაცური
და თქვენც მოგართვათ ღვინო ცქრიალა.
უკვე დავთვერი, მაღლა დავფრინავ,
სულაც არ ვნაღვლობ რა მელის აწი,
აი, ახლა კი უნდა დავლიო
ეს საჯილდაო სასუფრე ყანწი.

### მამა

მამის სითბოს ყოველთვის ვგრძნობ და ვინახავ გულში,
მისი ტკბილი და მტკიცე ხმა ახლაც მესმის ყურში.
ყოველ დილით, ცისმარე დღეს იგი თვალწინ მიდგას,
თითქოს ჩემს წინ ეს სიმდიდრე ოქროს ზოდით იდგას.
სულ პირველად მამამ გახსნა ჩემი სულის სარკე,
მის გარეშე არც მინდოდა ყოფნა, მარტო, ცალკე.
მივიჩნევდი როგორც ჩემს ბურჯს, ალმაფრენის ძალას,
სულ არ მინდა და არც ვიცი შევადარო სხვას რას?
მამის მზერას, მამის ხედვას ხიბლი დაჰკრავს თვისი,
ის შენია, მხოლოდ შენი, სხვისი არავისი.
ის არ ამბობს ხშირად სათქმელს, უნდა მიხვდე შენით
და ასეთი გულისწვდომა თქვენ ორთავეს გშვენით.
მამის თვალებს რომ შეხედავ შენსკენ მოცისკროვნეს,
სიყვარულის ცრემლგარეულს, შენი გულის მპოვნელს,
აზვირთდები მთელი გრძნობით და დაფრინავ ცაში,
დიდ დასაყრდენს და დიდ ძალას შენ გრძნობ მხოლოდ მასში.
ძალზე მიყვარს, ძალზე ძლიერ, მამა, ჩემი ხატი,
მისი გრძნობა, მისი სული გულში ჩანახატი.
მე, ყოველთვის თვალწინ მიდგას მისი წმინდა სახე,
მისი ყველა კარგი წესი ჩემში გარდავსახე.

### თვალები

ეს ცხოვრება, მრავალგზისად ჩვენს თვალებში იხატება,
ნაირფერად მოსხივოსნებს და გრძნობებში იფანტება,
თვალის ჩინში, არეკლილად, სიყვარულის სხივი მოჩანს,
მოელვარე, გადამდები, გამომწვევად ყველგან რომ ჩანს.
დედის თვალი რომ შეგხედავს უნებურად ის შენ გლოცავს,
ნეტარებად აზვირთული მთელ სხეულში წვეთ-წვეთ ცოცავს,
ამ დროს შენშიც ისახება მზერა სხვების დამლოცველი,
გსურს რომ სულ ასეთი იყო, სხვის მეხოტბე და მლოცველი.
თვალი თვალს რომ გაეყრება მთლად გაოცებს მისი ფერი,
მეტყველი და მოსაუბრე, მოჟუჟუნე, მრავალფერი,
წამიერად გაგიტაცებს თვალის ბუდე, თვალის ჭრილი,
წარბთა ტყიდან რომ უბერავს იდუმალი სიო, გრილი.
ბავშვის მთელი სილამაზე მის უმანკო თვალებშია,
სილამაზის ხილვისას კი თვალი თვალის ალერსშია,
წარბის შეკვრა, წარბის გახსნა ხასიათის დამჭერია,
კაციც, თვალით იკითხება, თავკერძა თუ დამჯერია.
სითბოს ღვრის და მოცისკროვნებს ლამაზი ქალის თვალები,
გადაქნილი წამწამებით, ვით ზურმუხტი და ლალები,
ეს თვალები მიმაქანებს სულ მაღლა ოცნების კიდეს,
მინდა და მსურს რომ ყოველთვის სილამაზით ძლიერ მსჯიდეს.

◉ ინფორმაცია

## ტურამ თავი მაღაზიას შეაფარა

**ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ სასურსათო მაღაზიას თავს ტურა აფარებდა. გარეული ცხოველი მაღაზიის საწყობში იმალებოდა.**

გამყიდველების განცხადებით, ტურამ ქუჩა გადაკვეთა და მაღაზიაში შევარდა. სავარაუდოდ, ცხოველი თბილისში ახლომდებარე ტყეებიდან შემოვიდა.

შემთხვევის ადგილზე თბილისის ზოოპარკის თანამშრომლები იმყოფებოდნენ, რომლებმაც ცხოველი სპეციალური პრეპარატით დააძინეს და ისევ ტყეში დააბრუნეს.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ცნობისმოყვარეთათვის

## სად, რა, როდის?

● თურმე ფრინველებში ყველაზე „კეკლუცი“ მტრედი ყოფილა. გამუდმებით ისწორებს ბუმბულს, ფრთებს, ამიტომაც შეარქვეს ფრანგებმა პიჟონი (ფრანგულად მტრედს ნიშნავს) ადამიანთა ერთ კატეგორიას.

● ქალაქის შიგნით გამაგრებულ ადგილებს ციტადელს უწოდებდნენ.

● ლურსმნული დამწერლობა შუმერში შეიქმნა.

● კამბოჯის მმართველმა პოლ პოტმა 3 მილიონი კამბოჯელი შესწირა რევოლუციას და წამალიც კი აკრძალა, რადგან ავად მხოლოდ ბურჟუები ხდებიანო: დიქტატორმა აკრძალა ქორწინება, ცოლებს მამაკაცებს სახელმწიფო უნიშნავდა. წყვილებს შეხვედრა თვეში ერთხელ და მხოლოდ 10 წუთით შეეძლოთ.

● ესპანეთის მეფე ფილიპე II პირველი ინვალიდი იყო, ვინც გორგოლაჭიან სავარძელს იყენებდა.

● ლუქსემბურგი ფართობით სამი მოსკოვისხელაა.

● პოემა „შაჰ-ნამეს“ თითოეულ სტრიქონში შაჰმა ფირდოუსს თითო თუმანი გადაუხადა.

● მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის დედაქალაქში ჩამოგდებული პირველი ბომბის ერთადერთი მსხვერპლი სპილო შეიქნა.

● 1969 წელს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული სატელეფონო საუბარი შედგა აშშ პრეზიდენტ ნიქსონსა და კოსმონავტებს არმსტრონგსა და ოლდრინს შორის.

● მადაგასკარის დედოფალმა რანავალუნამ რამდენიმე ქვეშევრდომი იმისთვის დასაჯა, რომ ისინი უნებართვოდ ეცხადებოდნენ ძილში.

● XX საუკუნის დასაწყისში კარიბის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე მძლავრმა ვულკანმა რამდენიმე წუთში კუნძულის 28-ათასიანი მოსახლეობა გაანადგურა. გადარჩა მხოლოდ ერთი კაცი — პატიმარი, რომლის საპყრობილის კედელი საკმაოდ მტკიცე გამოდგა.

● მედიცინაში ცნობილია შემთხვევა, როცა ქალმა ძილში ისე იმშობიარა, რომ არაფერი გაუგია.

● რუსეთ-საფრანგეთის ომის დროს პეტრე ბაგრატიონს გენერალ-ლეიტენანტის წოდება მას შემდეგ მიენიჭა, რაც 1805 წლის ოქტომბერში სოფელ შენგრაბენთან ფრანგთა 30-ათასიანი არმია 6-ათასიანი რაზმით შეაჩერა და რუსეთის ჯარები ალყაში მოქცევისგან იხსნა.

● ინდოელთა 80 პროცენტი ვეგეტარიანელია.

● მუსოლინის უმცროს ვაჟს სოფი ლორენის და ჰყავდა ცოლად.

● თურქეთის სულთან სულეიმან I-ის მიერ უნგრეთში ხარკის მოსათხოვნად გაგზავნილი ელჩი უკან უყუროდ და უცხვიროდ დაბრუნდა.

● ჩინეთის უკანასკნელმა ტახტიდან გადაყენებულმა იმპერატორმა სიცოცხლის ბოლო წლები თავისი ქვეყნის დედაქალაქში გაატარა, სადაც მებაღედ მუშაობდა.

● სპარტაკის გადარჩენილი მეომრები რომაელებმა ქალაქ კაპუიდან რომამდე ჩამწკრივებულ ჯვრებზე მიალურსმნეს.

● 1730 წელს დიდ ბრიტანეთში შემოიღეს პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი, პირველი პრემიერი რობერტ უოლპოლი გახდა.

● 1770 წელს შედგა 14 წლის ავსტრიელი პრინცესა მარია-ანტუანეტასა და საფრანგეთის მომავალი მეფის, 15 წლის ლუდოვიკოს ქორწინება.

● 1871 წელს რომი გაერთიანებული იტალიის სამეფოს დედაქალაქი გახდა.

● 1898 წელს ავსტრალიის ქალაქ იდენში ამოვარდა რეკორდული სიმაღლის ქარბორბალა. მისი სიმაღლე 1528 მეტრს, დიამეტრი კი 3 მეტრს შეადგენდა.

● 1571 წელს დაარსდა ქალაქი მანილა — ფილიპინების დედაქალაქი.

● 325 წელს გაიხსნა ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრება, სადაც მიწვეული იყო ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე.

● 1874 წელს ლევი სტრაუსმა პირველად გამოიტანა გასაყიდად ჯინსი.

● გამოთქმა „ვაჭართა ერი“ ნაპოლეონს მიეწერება, მაგრამ პირველად ეს ერი ასე შოტლანდიელმა ეკონომისტმა ადამ სმიტმა მოიხსენია ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებასა და მიზეზებზე“ და ეს ერია — ინგლისელები.

● 1951 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა მდიდარი ბიზნესმენი ეტიენ ბალზანი, ფრანგი მოდის დამკანონებლის, მადმუაზელ კოკო შანელის საყვარელი. რადგან დაქორწინებული არ იყვნენ, შანელს ძაძის ტარების უფლება არ ჰქონდა და მან საუკეთესო საშუალებას მიაგნო: პატივი რომ მიეგო საყვარელი ადამიანისთვის, მოდაში შემოიტანა შავი ფერი.

● 1889 წელს ირლანდიაში არენდატორებმა ურთიერთობა გაწყვიტეს ერთ-ერთი მამულის საძულველ მმართველთან. ის გვარად ბოიკოტი იყო.

● ვინმე ჯონ სალმონმა თვითნაბადი ოქროს 36,3-კილოგრამიანი ზოდი „ოლივერ მარტინი“ 22.700 დოლარად გაყიდა, 10000 კი იმით გამოიმუშავა, რომ სხვადასხვა ქალაქში დადიოდა და ხალხს გასამრჯელოს საფასურად აჩვენებდა.

შეკრიბა ტიტე კოპალეიშვილმა

◉ ჩვენი კარაბადინი



### ვეგეტარიანელების გასახარად

**კარტოფილის გენეტიკურად მოდიფიცირებული სახეობა, რომელიც ცილების 60 პროცენტზე მეტს შეიცავს, მიიღეს ინდოელმა მეცნიერებმა. ამ ბალჩეულის საფუძველზე მომზადებული კერძები ახლა უფრო მაწიერი და სასარგებლო იქნება.**

მცენარეთა გაზრდილი ყუათიანობის ახალი ტრანსგენეტიკური სახეობის შექმნის ეს პირველი მნიშვნელოვანი წარმატებაა.

### რძისგან გახდომა



**რძის რეგულარული მიღება ხელს უწყობს წონის დაკლებას, გამოარკვიეს ისრაელმა მეცნიერებმა.** აღმოჩნდა, რომ დღეში 2 ჭიქა რძის სმით ადამიანი 2 წლის განმავლობაში 5,5 კილოგრამით იკლებს წონაში. ექსპერიმენტში მონაწილეობდა დაახლოებით 300 კაცი, რომლებსაც ჰქონდათ კრიტიკული ან მასთან მიახლოებული წონა. მოხალისეები ისხდნენ სხვადასხვა დიეტაზე, მაგრამ სტაბილური შედეგები წონის დაკლებაში აჩვენეს მხოლოდ იმათ, ვინც რძეს სვამდა.

### რისგან ბერდება სახე

**კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობა მომხმარებელს უყალიბებს „კომპიუტერულ სახეს“ ჩამოგრძელებული ნიკაპით, „ინდაურისებრი“ კისრით და ღრმა ნაოჭებით შუბლზე და თვალის გარშემო. ასეთი გაფრთხილებით გამოვიდნენ ბრიტანელი კოსმეტიკური ქირურგები.** „თუ იმ უბედურთა რიცხვს მიეკუთვნებით, ვინც ეკრანზე მზერის კონცენტრაციის დროს იჭმუხნება ან თვალებს ჭუტავს, ნაადრევი ნაოჭები გარანტირებული გაქვთ, — ამბობენ მეცნიერები. — კომპიუტერის გვერდით დადგით სარკე, რომ შესაძლებლობა გქონდეთ შეხედოთ საკუთარ თავს მუშაობის დროს. ჩვენი კლიენტები ზოგჯერ შეშინებული არიან იმისგან, თუ როგორი გაბრაზებული ან ზედმეტად სერიოზული ხდება მათი სახეები“.



„კომპიუტერული სახის“ წინააღმდეგ საბრძოლველად ბრიტანელი კოსმეტოლოგები გვირჩევენ რეგულარული შესვენებები მოვაწყოთ ელექტრომოწყობილობასთან მუშაობის დროს და შევასრულოთ ვარჯიშები კისრის კუნთებისთვის.

ХОРОШО

◉ ინფორმაცია

## საპატიმროში დაკავებულთა უფლებები ილახება

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე კოკა ფრუიძე გლდანის №8 საგამოძიებო განყოფილებაში, ე.წ. კარანტინში არაადამიანურ პირობებში იმყოფებოდა. ამის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის წევრმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ განაცხადა.

მისი თქმით, წინასწარი დაკავების იზოლატორში, სადაც დაკავებული წესით 2 დღე უნდა გააჩერონ, 14-15 დღე არაადამიანურ პირობებში ამყოფებენ, სადაც არა თუ დაწოლის, დასაჯდომი ადგილიც კი არ არის.

— ე.წ. კარანტინში შექმნილი მდგომარეობა სცილდება ადამიანის ღირსებისა და პატივის შესაბამის ნორმებს. ამიტომ მოვითხოვ, დღესვე სახალხო დამცველმა და მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა აღნიშნული საკითხი პირად კონტროლზე აიყვანონ და დღესვე ჩატარდეს მონიტორინგი, — აღნიშნა ლორთქიფანიძემ.

ჯი-ეიჩ-ენი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76

## იჩქარეთ, გამოიწერეთ!

# ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა

### რომელიც 1918 წლიდან გამოდის

ჩვენ კვირაში ხუთჯერ გამოვდივართ, კვირისა და ორშაბათის გარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში მკითხველს მარტო ჩვენი გაზეთის საშუალებით შეუძლია, სრულად მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, გაეცნოს აგრეთვე ამ მოვლენების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.

გაზეთის რედაქცია შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და კვლავაც შეეცდება, რომ ჩვენი გაზეთის „სუფრაზე“ ყოველგვარი გემოვნების მკითხველმა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობის „მადა“.



ამ თვალსაზრისით ჩვენ მუდამ ვიყავით და მომავალშიც დავრჩებით ყველაზე სანდო, ჭეშმარიტ სახალხო გაზეთად, რომლის ფურცლებიდანაც თვითონ ხალხი ლაპარაკობს თავის გულისნადებს.

ვისაც უნდა, რომ მომავალი წლიდან ფოსტამ ყოველ სისხამ დილით „საქართველოს რესპუბლიკის“ ცხელ-ცხელი ნომერი მიაწოდოს, შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე“ – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე“ – 93-38-75; „პრესექსპრესი“ – 96-23-11; „ელვასერვისი“ – 38-80-02; „ჯეომედია“ – 95-51-70; „საქპრესა“ – 51-59-05; „საქპრესა+“ 51-57-43; „ინფო“-2007 – 34-11-40; „პრეს+“ 14-23-97.

⊙ დაიჯესტი

# „პატარა დანელიადას“ „კუკუობა“

**რუსეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი კინორეჟისორი გიორგი დანელია, რომელსაც აგვისტოს მიწურულს 80 წელი შეუსრულდა, ამჟამად თავისი გახმაურებული ფილმის „ქინ-ძა-ძას“ მულტიპლიკაციურ ვარიანტს იღებს. იუბილესთან დაკავშირებით ინტერვიუში, ჟურნალისტის კითხვაზე, თუ რა უფრო ძნელია – მხატვრული ფილმის გადაღება თუ ანიმაციურის, სახელოვანმა მაესტრომ, კერძოდ, უპასუხა:**



– ადვილად არაფერი გამომდის. თავად განსაჯეთ: განა ადვილია ყარა-ყუმში მიმოხილვის ბორბლის ჩატანა? ძალიან ძნელია. არადა, კინოფილმ „ქინ-ძა-ძასთვის“ უდაბნოში ჩვენ ეს ბორბალი დავდგით. ასევე, როგორ ფიქრობთ, ადვილია, როცა ფილმის მთავარ დეკორაციას – რაკეტა „პეპელაცის“ – ნებით-დაღის ნაცვლად ვლადივოსტოკში აგზავნიან? დეკორაციას „ხომალდი ქვიშაში“ ქარიშხალი ანგრევს, მიწისქვეშა „პეპელაცს“ კი ვიღაცა ცეცხლს უკიდებს? მოკლედ, ამ კინოსურათის გადაღებისას უამრავ წინააღმდეგობას გადავაწყდით.

მულტფილმ „„ქინ-ძა-ძასთან“ დაკავშირებით კი ამდენი უსიამოვნება არ შეგვყრია, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ მას უკვე რამდენიმე წელია ვიღებთ.

თავად ნახატი „ქინ-ძა-ძა“ სულაც არ არის მხატვრული კინოსურათის ასლი. შეცვლილია ორი მთავარი პერსონაჟი, გმირები ფილმის მსახიობებს არ ჰგვანან. არ შეიცვლება და არაფერი დაემატება მხოლოდ მხატვრული ფილმის პლუკანელთა ლექსიკას, ეს ამ სურათის, ასე ვთქვათ „წმიდათა წმიდაა“. მოკლედ, „კუ!“..

ანიმაციური „ქინ-ძა-ძას“ მუსიკას ჩემი საყვარელი კომპოზიტორი გია ყანჩელი წერს. სხვათა შორის, ცნობილმა მევიოლინემ გიდონ კრემერმა გია ყანჩელს „ქინ-ძა-ძას“ მოტივებზე სიმფონიური ორკესტრისთვის მუსიკის დაწერა სთხოვა. გიამ მუსიკა დაწერა და ვინაიდან იგი პირველად გერმანიაში შეასრულეს, მან თავის ნაწარმოებს „აინე კლაინე დანელიადა“ („ერთი პატარა დანელიადა“)ძ დაარქვა. ყანჩელის ჩანაფიქრით, ნაწარმოების შესრულების დროს ორკესტრანტები რამდენჯერმე მღერიან „კუ“-ს. ისინიც მართლა „კუობენ“...

აღსანიშნავია, რომ გიორგი დანელიას მიერ გადაღებულ ფილმებს შორის, მაყურებელში ყველაზე პოპულარულებია „შემოდგომის მარათონი“, რომელსაც ხმა მისცა გამოკითხულთა 21,6 პროცენტმა, „ქინ-ძა-ძა“ (21,3ძ და „მიმინო“ (18,5ძ, რომელსაც ერთი პროცენტით ჩამორჩება „აფონია“.

⊙ ვაზუსტებთ

გუშინდელ ჩვენი გაზეთის მე-5 გვერდზე რუბრიკით – **„მტყუან-მართალი“** გაპარულია უხერხული კორექტურა – აკადემიკოს **დავით მუსხელიშვილის** ნაცვლად შესავალ წერილში შეცდომით წერია **დავით მესხიშვილი.**

რედაქცია ბოდიშს უხდის ბატონ დავით მუსხელიშვილს და მკითხველს.

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +6 – +13 |
| ქუთაისი. | +7 – +18 |
| ბათუმი. | +4 – +15 |
| ზუგდიდი. | +5 – +20 |
| თელავი. | +5 – +15 |


## იყიდება სასწრაფოდ!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

## განცხადება
## იყიდება ბათუმგორაზე

იყიდება ბათუმგორაზე მიწის ნაკვეთი 5 000მ², აქედან 1 000მ², დატოვებულია მშენებლობისთვის, დანარჩენ 4 000მ² არის მანდარინის ხეები, ყოველწლიურად ნაყოფი მოდის 10-15 ტონამდე. ნაკვეთი გალამაზებულია კაკლისა და ნაძვის ხეებით. პანორამა გადასარევი, ნაკვეთიდან შესანიშნავად ჩანს მთელი ბათუმის ხედი ზღვის ნაპირით; ზღვის ნაპირიდან დაშორება 1,2 კმ; ნაკვეთამდე მისასვლელს ესაზღვრება 3 (სამი) გზა. მიყვანილია ნაკვეთამდე ბუნებრივი აირი. ფასი შეთანხმებით.

მობ: 899 15 44 35, 874 15 44 35.




## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7796 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4856 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8584 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.7828 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |




რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## შევიძენ

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს.
855-42-05-82.


⊙ ანეკდოტები

– თუ შეიძლება, ტელეფონთან დირექტორს სთხოვეთ...
– დირექტორი დაკავებულია!
– მე მისი ცოლი ვარ!
– ყველა ასე ამბობს?!

* * *

განცხადება:
„სოლიდურ ფირმას სჭირდება მძღოლი, მდივანი ქალი, ოფისი და ფული“.

* * *

სამოთხე ის ადგილია, სადაც არ არის მაღვიძარები, ორშაბათები და დირექტორები!

* * *

ახალგაზრდა კაცმა ქალიშვილი გაიცნო, რომელიც ეუბნება:
– მითხარით, ვისმეს ხვდებით?
ბიჭმა ამოიოხრა.
– გულახდილად რომ გითხრათ, ვხვდები!
– ვის?



– ერთ გათხოვილ ქალს.
– ვინაა ის?
– ვინ და ჩემი ცოლი.

* * *

ერთი ქალიშვილი ეუბნება მეორეს.
– იცი, ფეხმძიმედ ვარ.
– ვინ გითხრა?
– ექიმმა.
– ვინაა ბავშვის მამა?
– ვაი, ექიმს ეგ არ უთქვამს!

* * *

ნუ გადადებ ხვალისთვის იმას, რისი გაკეთება საერთოდ არ ღირს!

* * *

ჰოლივუდის მსახიობ ქალს ეკითხებიან, რატომ გააგდე შენი მზარეული ქალიო.
– ნუ მკითხავთ, – ამოიხვნეშა მან, – შესანიშნავ საჭმელებს ამზადებდა, მაგრამ ყველას ეუბნებოდა, რომ ჩემთან უკვე 40 წელია მუშაობს.

⊙ კადრი




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.